წელიწადი მესამე
ფასი 10 კაპ.
კვირა, 1917 წ. მკათათვის 2 (14)

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ტელეფონი 15—73
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, ред. газ. „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.
თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 142 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 142

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

რუსეთ-გერმანეთის ფრონტზე ისევ სასტიკი ბრძოლაა.

გერმანელებს ინგლისელებზე იერიშები მოაქვთ ბელგეთში ზღვის პირას.

ინგლისელების მფრინავები სტამბოლს თავს დაესხნენ. ზარალი მიაყენეს.

კოლომნის ქარხნებში დიდი ცეცხლია.

სასამართლოებში მიწის შესახებ საქმის წარმოება შეჩერებულ უნდა იყოს.

პრუსიაში საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლება შემოაქვთ.

თიბათვის განმავლობაში გერმანელებს ერთი მილიარდის ქონნაეის გემები დაუღუპნიათ მოკავშირეებისა.

უკრაინა საკუთარ დამფუძნებელ კრების მოწვევას აპირებს.

ფინეთი აცხადებს, ფულს იმ პირობით მოგცემთ, თუ ჩვენს დამოუკიდებლობას აღიარებთო.

მონარქიის აღდგენა ჩინეთში.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

მეთაური. ჭიათურის კრიზისი.
გერონტი ქიქოძე. პოლიტიკური მომენტი.
ბ. გ. სესხი ფინლიანდიაში
ილია ფერაძე. აჭარის ვითარება.
ზ. ჭიჭინაძე. ქართველი რესპუბლიკანელები.
გ. ლეონიძე. სონეტი საქართველოს.
ნ, აზიანი. პატარა ფელეტონი.

თბილისის ქალაქის საარჩევნო კომიტეტისა და თბილისის ქალაქის გამგეობისაგან

საქალაქო არჩევნებისათვის

თბილისის საარჩევნო კომიტეტი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ის განცხადებები, რომლებიც შემოტანილი იყო თიბათვის 24-დან—28-დის საარჩევნო სიების შესასწორებლად, განხილულ იქნება ქალაქის საარჩევნო კომიტეტში თიბათვის 29 და 30-ს და მკათათვის 1, 2 და 3. ვისაც განცხადებანი შემოუტანიათ, კეთილ ინებონ და საარჩევნო კომიტეტის კანცელარიაში საქმის გასაგებად მოვიდნენ, საარტისტო საზოგადოების საზამთრო შენობა, გოლოვინის პროსპექტი № 21, ამა წლის მკათათვის 4-ს დილის 10 საათიდან დღის 3 საათამდის და 7 საათიდან ღამის 10 საათამდის.

ამიერ-კავკასიის ბანკი

თბილისი, ლორის მელიქოვის ქუჩა № 5. ტელ. № 5—26. დაიწყებს თავის მოქმედებას 3 ივლისს 1917 წ.
2—754—2

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

მოუწოდებს ყველა წევრთა და თანამგრძნობთ დაესწრნენ კრებას, რომელიც გაიმართება მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზის აივანზე კვირას, მკათათვის 2, საღამოს 7 საათზე.

კ რ ე ბ ი ს ს ა გ ა ნ ი:

მოხსენება თბილისის საქალაქო არჩევნების შესახებ და კომიტეტის დამატებითი წევრების არჩევა.

2—756—2

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის 1-ლი უბნის
კ ო მ ი ტ ე ტ ი

ამით აუწყებს ამ უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთ, რომ სამშაბათს, მკათათვის 4, შედგება წევრთა და თანამოაზრეთა საზოგადო ყრილობა ქართულ გიმნაზიის შენობაში.

კრების საგანი: საქალაქო არჩევნებისათვის ჩვენი პლატფორმა და ხმოსნობისათვის შესაფერი კანდიდატების დასახელება.

კომიტეტი სთხოვს წევრთა და თანამოაზრეთ აუცილებლად დაესწრნენ ამ კრებას.

საქარ. ეროვნულ-დემოკრ. პარტ. 1-ლი უბნის კომიტეტი.

ს უ რ ა მ შ ი
საუკეთესო ნაწილ „ჯ ა ფ ი ნ ა უ რ შ ი"
ი ყ ი დ ე ბ ა
სააგარაკო ადგილები

სახლები ვენახებით და აგრეთვე უამათოდაც. შეიძლება მთელი მამულის ყიდვაც—3000 კვ. საჟენი. დაწვრილებით ცნობების გაგება შეიძლება სურამში სპირიდონ გუნცაძესთან.

2—793—1

საუკეთესო საწერი

„მელანი"

ალიზარინის ფერისა, დავამზადე და ვყიდი ბოთლს 10 მანეთათ. 1 ბოთლიდან გამოდის 10 გირვანქა მელანი, გირვანქა ჯდება 1 მანეთი. 2 გირვანქა სეროფია მოხარშული, წმინდა წყალი დაესხმება 8 გირვანქა და დაჰანჭყარდება, მეტი არაფერია საჭირო, მელანი საწერათ მზათ იქნება.

მისამართი ადრესი ქ. თელავი კ. ონიკაშვილი.

6—741—6

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთზე

1917 წლ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წლ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სექტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

ე ქ ი მ ი
მ. ი. მაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. [illegible]

ე ქ ი მ ი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, გოლოვინსკის ძეგლის პირდაპირ, რამიშვილის ქუჩა, № 19

ე ქ ი მ ი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. ნიკოლოზის პროს. № 36, მეორე სართული.

ე ქ ი მ ი
ე. ღ. შალამბერიძე
იღებს სავენერო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ე ქ ი მ ი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ე ქ ი მ ე ბ ი
გ. მ. მუხაძე
იღებს ხალხისტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიძისა. ტელეფონი № 5—77.

ე ქ ი მ ი ქალისა
ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5 7 საათ.
ჩერქეზიშვილის და ჩუღურეთის ქუჩის კუთხე № 20.

[illegible]
[illegible]
ქალანდარიშვილი
[illegible]
[illegible]
მანგლისში
საკადეტო კორპუსის ბანაკში

თბილისი, მკათათვის 2.

ჭიათურის კრიზისი

სრული სიჩუმე ჩამოვარდა შავიქვის სამეფოში; მართალია წინეთაც ხდომია წილად შავიქვის წარმოებას შეჩერება, მაგრამ ეს ყოფილა მხოლოდ მოულოდნელი შემთხვევის, ან მუშათა გაფიცვის გამო, ეკონომიურ ნიადაგზე, დროებით; ასეთ შეჩერებას მუდამ ებრძოდა, როგორც რუსეთის ბიუროკრატია, რომელიც ამ გაფიცვებში ხედავდა მუშათა გამოფხიზლების საქმეს, ხოლო არა ნაკლებ წუწუნებდა რკინის გზის მთავრობა, რადგან ეს უკანასკნელი ჰკარგავდა ყოველდღიურ შემოსავალს, ესე იგი გადასაზიდ ტარიფის სახით შემოსულ ფულს.

ასე იყო ძველი რეჟიმის დროს, რომელიც ნაკლებად უწევდა ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ საკითხებს ანგარიშს, მაგრამ ეხლა სულ სხვაა: რუსეთის განახლებული ცხოვრება მოითხოვს ახალ თვალსაზრისით გაზომ-გასინჯვის სხვა მრავალ თავ-სატეხ. საკითხთა შორის სამრეწველო საკითხებისასაც. და აი სწორეთ აქ, მოსაზრება და ნათქვამი ახალი საფინანსო მინისტრისა, რაც გამოიხატება რუსეთის იმპერიაში არსებულ რკინის გზებზე მიმოსვლა ტარიფების გადიდებაში 200—300 %/%, არ დარჩა მიზან შეწონილი თვით ჭიათურის წარმოებისათვის, რადგან ყველა ნაწარმოები ვერ იტანს გადიდებულ გადასახადებს და მერე მით უმეტეს, ძველ უმაგალითო ტარიფთან ახალი ბაჟის დადება. ასეთი მადნები როგორიც ჭიათურაშია, ბევრგანაა დედამიწის ზურგზე; თვით რუსეთში ნიკოპოლშიაც დღეს გაჩაღებული წარმოებაა, როგორც ვიცით რუსეთის ბაზარი ნიკოპოლის მეტალითაც საზდოობს და დააკმაყოფილებდა კიდეც მის მოთხოვნილებას, რომ ჩვენი ქვის ღირსება არ იმარჯვებდეს ამ შემთხვევაში, მაგრამ შეშურდათ ჩვენი ეს ბედნიერებაც, თუ შეიძლება ეს ასე ითქვას. ამნაირათ, თუ დღემდე დატუქსული იყო ჩვენი მრეწველობა და მრეწველები, შრომის საღირალსაც მოკლებულნი, ეხლა სრულიად უნდა გამოვეთხოვოთ მას, თუ ეს გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

აუცილებლათ უნდა შეცვალოს მთავრობამ ეს საზიანო დადგენილება, კერძოთ ჭიათურის მრეწველობის ინტერესების დასაცველათ და დატოვოს ნორმალური ტარიფი ესე იგი, როგორიც იყო სხვა გზებზე, ამის გადიდების წინააღმდეგნი არც ჩვენა ვართ, ხოლო, თუ ეს საძნელო იქნება ამ ხანაში, იმ შემთხვევაში არსებული მაინც. უკიდურეს შემთხვევაში ჭიათურის წარმოებას სრული ლიკვიდაცია მოელის. ქვის გადაზიდვა აქედან ახლაც შეჩერებულია ათი იენისიდან და საწარმოო დარგებშიც სამარისებური სიჩუმე სუფევს და ეს ასეც გასტანს მდგომარეობის შეცვლამდე.

საჭიროა, ამიერ კავკასიის სარევოლუციო მთავრობა ყურადღებით მოეპყრას ჭიათურის მრეწველობის კრიზისს და დროზედ დაიხსნას იგი გაჭირვებისგან.

სესხი ფინლიანდიაში

ომამდის ფინლიანდიის მარკა ღირდა ორი აბაზი, ასე რომ 100 მანეთში იძლეოდნენ 250 მარკას. ეხლა კი ჩვენი ფულის კურსი ძალიან დაცემულა,—უკანასკნელი დეპეშით 100 მანეთში იძლევიან 130 მარკას, და დღეს შეიძლება, რომ 1 მარკა მანეთი ღირდეს.

სრულიად რუსეთის მუშათა საბჭოთ კრებაზე მინისტრმა წერეთელმა, როგორც წევრმა, მიმართა დემოკრატიას და სთხოვა ეშუამდგომლათ ფინლიანდიის დემოკრატიასთან სესხის შესახებ. წერეთელმა განაცხადა, რომ მართებლობას ფინლიანდიის ფული ეჭირვება, რადგან რუსის ფულს იქ ცუდი გასავალი აქვს. ფინლიანდიაში კი ჯარები სდგას, მრავალი მოქალაქე რუსი სცხოვრობს და ამასთან მართებლობას ფინლიანდიაში შეკვეთილი აქვთ სხვა და სხვა საქონელი. ყველა ამისათვის მთავრობას სჭირდება 700 მილიონი და ფინლიანდიის სეიმს სთხოვეს ჯერჯერობით 350 მილიონი. მაგრამ სეიმმა, როგორც უკვე გვაუწყა 24 თიბათვის დეპეშამ, სესხი უარყო.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რუსეთის დიდი გაზეთები ხმასაც ვერ ამოიღებენ ფინლიანდელების სასაყვედუროთ. რომ რამე გაბედონ, ფინლიანდელები უპასუხებენ: თქვენ მთავრობას თქვენ არ ენდობით, და ჩვენ როგორ უნდა ვენდოთო; თქვენი თავისუფლების სამ მილიარდიანი სესხი სამ თვეში ნახევარი არ გაგინაღდებია მაშინ, როცა ამდენი ხანი 9 მილიარდი უნდა გაგეღოთ თქვენი რევოლუციონური მთავრობის გასამაგრებლათ და ფინანსიური მდგომარეობის გასამტკიცებლათო.

ფინლიანდელებს კი ფულის დაკარგვის სრულიად არ ეშინიანო,—ისინი არც მშიშარაა, და არც უგუნური და უანგარიშო ხალხია. ფინლიანდია არ ენდობა რუსეთის პოლიტიკას, და მართალნიც არიან. ფინლიანდიას ბევრი განსაცდელი გადახედია თავს ძველი მთავრობის დროს, მაგრამ ეხლაც ვერ ხედავს უკეთესობას. რევოლიუციამ რუსეთში გამოაცხადა ყოველგვარი თავისუფლება და ამასთან ყოველ უცხო ერს, რომელიც რუსეთის იმპერიაშია მოვწყმდეული, აღუთქვა თვითგამორკვევის უფლება, მაგრამ, როცა უკრაინამ თავის თვითგამორკვევისათვის მოითხოვა ავტონომია, რევოლიუციის მთავრობამ პასუხი არ მისცა,—საკითხი დამფუძნებელ კრებისათვის გადაუდვია. როცა უკრაინამ თვითონებით მოისურვა თავის ავტონომიის მოწყობა, დროებით მთავრობამ წინააღმდეგობა... არ გაუწია, მაგრამ როცა უკრაინამ თავის „უნივერსალი" გამოაქვეყნა, შეგონება დაუწყო. ხოლო პეტროგრადისა და მოსკოვის დიდ გაზეთებმა ერთი განგაში ასტეხეს: როგორ გვიბედავს უკრაინაო.

აი ამიტომ არის, რომ ფინლიანდია ვერ ენდობა რუსეთის პოლიტიკას ეხლაც ისე, როგორც ძველათ ვერ ენდობოდა. აი ამიტომ დაუდო ფინლიანდიამ რუსეთის მთავრობას სურს გასანაღდებლათ განსაზღვრული პირობო: ფინლიანდიის სოციალ-დემოკრატიამ მოითხოვა, რომ ფინლიანდიიდან რუსების ჯარი გაყვანილ იქნას და ფინლიანდიაში ციხე-სიმაგრეები დანგრეული და ძირიანათ მოთხრილი იქმნას. მაშინ შიში აღარ ექნებათ, და ამიტომ სესხს დიდის ხალისით გაიღებენ და კარგი განწყობილებაც დამყარდება სამუდამოთ.

ბ. გ.

რუსული პრესა

სომეხ-ქართველთ გლეხობა.

„კავკასკოე სლოვოს" თანამშრომელი ი. პიჩიკიანი ასე ახასიათებს გლეხთა ყრილობას:

„ყრილობაზე გამოირკვა, თუ ვის ემხრობიან ქართველი და სომეხი გლეხები. ქართველი გლეხები სოციალ-დემოკრატიას მიყვებიან, სომხის—დაშნაკელების პარტიას ყრილობაზე ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ფედერალისტებს მხარს არ უჭერს გლეხთა მასსა. ქართველ ფედერალისტების მომხრე 10 კაცზე ნაკლები აღმოჩნდა, ამდენივე იყვნენ სომეხ სოც.-დემოკრატების მომხრე გლეხები. ქართველ გლეხთა მასსის კავშირი სოც.-დემ. პარტიასთან სულ სხვაა, ვინემ სომეხ გლეხთა—დაშნაკელებთან. ქართველი გლეხები რამდენიმე ათი წელია შეგნებულ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწევიან და პარტიებში მონაწილეობას იღებენ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ქართველ გლეხებში მაგრად გაიდგა ფესვები და შექმნა მათში ძლიერი ორგანიზაცია. ქართველი გლეხი შეეჩვია პარტიულ დისციპლინას (წესრიგს) ეს ძველი პარტიული გამოცდილება მთელი ყრილობის მუშაობას ეტყობოდა. ქართველი დელეგატები ცოტას ღელავდენ და ლაპარაკობდენ. მათი პირით ლაპარაკობდენ და მოქმედებდენ მათი გამოცდილი ბელადები—ნოე ჟორდანია, ნიკო ელიავა და ნოე რამიშვილი.

„სომხის გლეხობა მხოლოდ ახლა გამოდის პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე და იწყებს პარტიულ ცხოვრებას, რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში ის უსიტყვოდ, უპროტესტოდ იტანდა ყოველგვარ გაჭირვებას და ექსპლოატაციას (ყვლეფას). წიგნი და გაზეთი ძნელათ იკაფავდა გზას სომეხთა სოფლებში. იქ არ იყო არც პოლიტიკური, არც პარტიული ცხოვრება. ეს იყო ეკონომიურათ და პოლიტიკურათ დაბეჩავებული მასსა. ამიტომ სომეხ გლეხ დელეგატებს არ ჰქონდათ პარტიული სიდინჯე. საერთოდ კრებებზე ვიწროობას, უხერხულობას გრძნობდნენ და თავს იკავებდნენ. მაგრამ სომხური სექციის სხდომებზე აშკარათ სჩანდა ყოველგვარი უდისციპლინობა ხშირათ აწყვეტინებდნენ ლაპარაკს ორატორს, ყველას სურდა ლაპარაკი, თავმჯდომარეს არ ემორჩილებოდენ და არც ყურს უგდებდნენ, თავიანთი წვრილმანი და ხშირად პირადი კითხვებით კრებას მუშაობას უშლიდენ და სხ.".

ომი და ზავი

დ ე პ ე შ ე ბ ი

მთავარბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. თიბათვის 30. **დასავლეთის ფრონტი.** ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით, კისელინის სამხრეთ-აღმოსავლეთით არტილერიის ცეცხლით ზურგ-გამაგრებულ მტერმა ის იყო ჩვენს თხრილებს მოახწია, მაგრამ ახალ სათადარიგო ჯარის მოშველებით იგი უკუვაქციეთ. თიბათვის 29 ს განმავლობაში მდინარე ლომნიცზე ბრძოლა იყო. ლომნიცის შესართავთან ჩვენი ჯარი მის მარცხენა მხარეზე გადავიდა და დნესტრ-პუკაშევცე-ბლუდნიკის მტრის სიმაღლეები დაიჭირა. შემდეგ (?) მტერი სიმაღლეებიდან კალუშის ჩრდილო-აღმოსავლეთით გავდევნეთ. კალუშის რაიონში ჩვენმა ცხენოსნებმა მრისხანე შეტევით ოთხი მძიმე ზარბაზანი წაართვეს. კალუშის სამხრეთ-აღმოსავლეთით პაპლე-სტრუ-ლიდზიაპი-კრასნეს ფრონტზე ჩვენი ჯარი მტრის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებს. რაზანოვდოლინის მიმართულებით, პერეხინსკოსთან ლომნიცზე გადასასვლელი ადგილები ჩვენებმა დაიჭირეს. დანარჩენ ფრონტზე სროლაა. თიბათვის 28 ბრძოლით ტყვედ წამოვიყვანეთ 10 აფიცერი, 850 ჯარისკაცი; ხელთ ვიგდეთ 5 მძიმე ზარბაზანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუმინეთისა და კავკასიის ფრონტები უცვლელადაა.

ინგლისის მთავარბანაკი.

ლონდონი. ოფიციალი. თიბათვის 30. თიბათვის 29-ს დილით მდინარე ენის დასავლეთით მტრის რაზმი მოვიგერიეთ და რამდენიმე ტყვეც წამოვიყვანეთ.

მფრინავთა მოქმედება. გუშინ ჩვენ მფრინავებმა მტრის ჰაეროდრომებსა და საწყობებს მრავალი ყუმბარა დაუშინეს. ჰაერში ბრძოლის დროს ჩამოაგდეს ოთხი და დააზიანეს 6 გერმანელთა ჰაეროპლანი. ჩვენ 3 ჰაეროპლანი გვაკლია.

საადმირალო იუწყება: თიბათვის 29 ღამით ჩვენმა საზღვაო ჰაეროპლანებმა ვარსენნარს, სენ-დენის, ერსტრემს, გიტსელდს და ოსტენდეს ყუმბარები დაუშინეს. ჩვენებმა მეტი წილი ყუმბარებისა რკინის გზებსა და ელექტრონის სადგურს დაუშინეს. ყუმბარები სენ-დენიდან ერსტრენში მიმავალ მატარებელსაც დაეცნენ. ოსტენდეს მახლობლად ყუმბარებმა ელექტრონულ სადგურს ცეცხლი გაუჩინეს და ვერსენნარის რკინის გზაზე საწყობები ააფეთქეს.

ლონდონი. თიბათვის 28. **ოფიციალი.** ნიუპორის რაიონში მტერმა გუშინ გაცხარებული იერიში მოიტანა. არტილერიის ცეცხლი ისე ძლიერი იყო, რომ ჩვენი სიმაგრენი მიწასთან იქნენ გასწორებულნი. ხიდების ჩანგრევის გამო ეს რაიონი მოწყვეტილ იქმნა დანარჩენ ფრონტს და ამითი მტერს საშუალება მიეცა შემოჭრილიყო ჩვენს თხრილებში 540 მეტრით. ამას გარდა მტერმა გადმოლახა მდინარე იზერი და ზღვის მიმართულებით 1250 მეტრით დაგვახევინა უკან. ლომბადიუზენის მიმართულებითაც თავდაპირველად უკან დაგვახევინა მტერმა, მაგრამ შემდეგ ჩვენმა მამაცმა ჯარმა მტერს კონტრ-იერიშით უკან დაახევინა.

ლონდონი. თიბათვის 29. **ღამის ოფიციალი ცნობა.** ნიუპორის მიმართულებით მტრის არტილერია დასცხრა. ჩვენი არტილერია ჩვეულებრივ ინტენსიურად ჰმოქმედებდა. დილით ონშე-ლე-გევეს მიმართულებით მტერმა იერიში მოიტანა და ხელთ იგდო ჩვენი თხრილები 300 მეტრით. ლანსის მიმართულებით მტერის იერიში მოგერებულ იქმნა.

მფრინავთა მოქმედება. საამირბარო იტყობინება, ნიუპორტის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენი ჰიდრო-აეროპლანები შეხვდნენ მტრის „ალბატროსებს". მცირე ბრძოლის შემდეგ ჩვენებმა გერმანელების 4 საფრენი იძულებულ ჰყვეს ძირს ჩამოშვებულიყვნენ. ჩვენი მხრივ ერთი საფრენი დაიღუპა.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

პარიზი. თიბათვის 29. **დღის ოფიციალი.** შამპანის რაიონში საარტილერიო ბრძოლაა. ქეიუენკერის ლეჩაქ ყურზე მტრის იერიში ჩვენებმა ადვილად მოიგერიეს. მდინარე მაასის ორივე ნაპირას მაღლობ „304" ჩრდილოეთით გერმანელებმა საარტილერიო ბრძოლის შემდეგ იერიში დაიწყეს, მაგრამ ამაოდ. დანარჩენ მიმართულებით საყურადღებო არა მომხდარა რა.

პარიზი. თიბათვის 30. **დღის ოფიციალი.** ღამით სენ-კანტენის, პანტეონის რაიონებში, აგრეთვე მაასის ორთავ ნაპირზე, საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა. მტერი ცდილობდა „304" სიმაღლესთან მოულოდნელად თავდასხმას, მაგრამ ვერა გააწყო რა.

იტალიეთის ბანაკის ცნობა

რომი. თიბათვის 28. **ოფიციალი.** კორდევოლეს რაიონში მოვსპეთ მტრის გამაგრებული ადგილი დიმილა. ჩვენი არტილერია მტრის ჯარის გადაყვან-გადმოყვანას ხელს უშლიდა.

მფრინავთა მოქმედება. აზიაგოს მიდამოებში მოვსპეთ მტრის საფრენი. თიბათვის 28 მტრის საფრენებმა იერიში მიიტანეს ჩივიდალესზე. მოკლულ იქმნა რამოდენიმე მცხოვრები.

ბელგიის ბანაკის ცნობა

ჰავრი. თიბათვის 28. **ოფიციალი.** მთელი ღამის განმავლობაში გერმანელები გაშმაგებით უშენდენ ყუმბარებს რამსკაპელეს, დიკსმიუდეს და გეტზახას. დანარჩენ ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

მოქმედება აფრიკაში

ლონდონი. თიბათვის 28. (დაგვიანებულია). **ოფიციალი.** მტრის მარჯვენა ფრთამ თიბათვის 23 ქალაქ ლუნიეს სამხრეთით დაიხია. კირლის მიმართულებით ჩვენი ძალები მტრის ცენტრალ ძალებს ემუქრებიან. უკულის მიმართულებით ჩვენებმა წინ წაიწიეს 7 მილის მანძილზე. ამ რაიონში ჩვენები მოფუს მიდამოებში გამაგრდენ. აქვე წამოყვანილი არის ტყვეები. სონგეალის მიმართულებით ჩვენებმა ალყა შემოარტყეს მტრის ჯარს და მპონის მიმართულებით მივდივართ. ქალაქ რუფიდნედან ჩვენებმა 35 მილით წაიწიეს წინ.

მაკედონიის ფრონტი

სოლუნი. თიბათვის 28. მდგომარეობა უცვლელია.

კონფერენცია ბალკანეთის გამო

პარიზი. თიბათვის 28. მკათათვის დამლევს პარიზში ბალკანეთის საკითხის გამო საგანგებო კონფერენცია იქნება მოწვეული. კონფერენციაში მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად შეერთებული შტატებიც მიიღებენ მონაწილეობას.

სოკოლოვის მცემლების დაჭერა

მოქმედი ლაშქარი. თიბათვის 28. მე-703 პოლკში შეიპყრეს სენატორ სოკოლოვის ცემის მონაწილენი. დაჭერილები პოლკის სასამართლოს გადაეცნენ. ფრონტის მრავალ ნაწილებმა მომხდარ საქმის გამო მათ ზიზღი გამოუცხადეს.

აჯანყება პელოპონესის ტრიპოლისში

ათინა. თიბათვის 27. გუშინ პელოპონესის ტრიპოლისში აჯანყება მოხდა. დაპატიმრებულ იქმნენ სამასამდე მოქალაქე, რომელთაც სამხედრო სასამართლოში მისცემენ. აჯანყების ჩასაქრობად ზომები უკვე მიღებულია.

სამზადისი საზამთრო კომპანიისთვის

ლონდონი. თიბათვის 28. პოლკოვნიკი იუორდი მიმართავს ქალებს, რომ ახლავე შეუდგნენ ჯარის კაცებისათვის საზამთრო ტანსაცმელების დამზადებას.

იაპონია და ზავი

ტოკიო. თიბათვის 28. ზემო პალატის საბიუჯეტო კომისიაში მოტონომ განაცხადა, რომ იაპონია სეპარატიულ ზავს არ შეჰკრავს და პრინცს იაპონიის საქმეები არ ჩარევს. ხარბინ-ჩანჩუნის რკინის გზის ერთ ნაწილის დათმობის შესახებ რუსეთთან მოლაპარაკები გამოცხადება შეუძლებელია. კორეისა და სამხრეთ მანჯურიის რკინის გზის გაერთიანებას დიდი მნიშვნელობა ექნება. სახეში გვაქვს აგრეთვე კორეის და სამხრეთ მანჯურიის ადმინისტრატიულად გაერთიანება.

გერმანეთის დღევანდელი მდგომარეობა

პეტროგრადი. თიბათვის 30. გერმანელების ტყვეობიდან დაბრუნებულებმა ბევრი საინტერესო ცნობები მოიტანეს გერმანეთის დღევანდელ უნუგეშო მდგომარეობის შესახებ. გერმანეთის მრავალ ადგილებში სიმშილობაა და პურის მოსავალი სრულებით არ არის. ცხენი და საქონელი ნელ-ნელა ისპობა. ძაღლები დიდი ხანია მოსპეს. შემოდგომისას დედაკაცებს მინდვრებში რეკავენ დარჩენილ თავ-თავ-ხორბლის ასაკრებად. რუსეთის ტყვეები უნუგეშო მდგომარეობაში არიან ჩაცვივნილნი—უფრო კი ვოლდესა და უსურალეს ბანაკებში. ტბების გაშრობის დროს 500 კაციდან სულ ორი კვირის განმავლობაში 400 კაცი მოკვდა.

ოქროს ფული

პარიზი. თიბათვის 28. „მატენის" ცნობით, ომის შემდეგ ოქროს ფულს მოსჭრიან. ოქროს ფულის სურათს მხატვრები ჰხატავენ.

ინგლისის საჰაერო ფლოტი.

ლონდონი. თიბათვის 28. (დაგვიანებულია). თემთა პალატის დახურულ სხდომაზე ლლოიდ-ჯორჯმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ უკანასკნელ 4 თვის განმავლობაში ინგლისელ ჰიდრო ჰაეროპლანებმა ჩრდილო ბელგიაში გერმანელთა ჰაეროდრამებს 75 ტონა ასაფეთქებელი მასალა ჩაყარეს, მაშინ, როდესაც გერმანელების ინგლისელთა ტერიტორიაზე ჩამოყრილი ბომბები სულ 2 ტონს უდრის. რადგან ფრონტისათვის და ინგლისის დასაცველად საკმარ ჰაეროპლანებს ეხლა ვეღარ შევიძენთ, ამიტომ უპირველეს ყოვლისა ისინი ჯარს უნდა მივაწოდოთ. უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში, სთქვა ლლოიდ-ჯორჯმა, ჰაეროპლანების გასაკეთებლად არსებული ქარხნები ხომ გავაფართოვეთ, ახლებიც ავაშენეთ და ამ საქმეზე მომუშავეთ 23 ათასი კაციც მივუმატეთ.

მთავრობის ცნობით, გერმანეთი საჰაერო საქმისთვის საჭიროებისამებრ არ არის შემზადებული. ინგლისის მთავრობას სრული იმედი აქვს, რომ ახლო მომავალში ის იმქამდის მივა, რომ არამც თუ უზრუნველ ჰყოფს ჰაეროპლანებით საფრანგეთში მყოფ ბრიტანეთის ჯარს არამედ გერმანეთსაც. სასტიკ წინააღმდეგობას უწევს საჰაერო ბრძოლაში და ინგლისის ტერიტორიაზე არ გადააფრენს. ამიტომ, დაათავა სიტყვა ლოიდჯორჯმა, ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ მალე გერმანელები ინგლისზე თავდასხმას შესწყვეტენ. ბონარ-ლოუ იგონებს, რომ უკანასკნელ დღეების განმავლობაში საფრანგეთის 84 ჰაეროპლანი დიდის გამოცდილობით უშენდა ყუმბარებს გერმანელთა 6 ქალაქს, ამასთან ფრანგებს მხოლოდ ორი კაცი დააკლდათო.

რევოლიუციის დროს დანაკარგის ანაზღაურება.

პეტროგრადი. თიბათვის 28. სამხედრო საბჭომ დაადგინა, რომ იმ სამხედრო პირთ, რომელთაც რევოლიუციის დროს, მათ და უნებურად რამე დაჰკარგეს ისეთი, რაც მას სამხედრო შეიარაღებას და შემზადებას ეკუთვნებოდა, აენაზღაურებიათ, თუ კვლავ მომქმედ ლაშქარს დაუბრუნდებიან. ანაზღაურება დამტკიცებულ ზარალს დაჰფარავს, მაგრამ ამავე დროს არ უნდა აღემატებოდეს იმას, რაც კანონით სამხედრო—ფულს შეადგენს.

დაღუპულ გემთა ტონაჟი.

სტოკჰოლმი. თიბათვის 27. გერმანეთის საამირბარო იუწყება: თიბათვის განმავლობაში ცენტრალ სახელმწიფოების მიერ დაღუპულ გემთა ტონაჟი მილიარდ ტონს აღემატებაო.

სროლის ხმა.

კოპენჰაგენი. თიბათვის 29. რინგკებინკიდან (დასავლეთი იუტლანდია) იუწყებიან: წუხელის, ჩრდილოეთის ზღვის მხრიდან ზარბაზნების სროლა ისმოდაო.

საბრძოლველად წასვლა.

ტამბოვი. თიბათვის 29. სათადარიგო პოლკი, რომელმაც წინედ ბრძოლაში გასვლაზე უარი სთქვა, დღეს დასთანხმდა და ბრძოლის ველზე წავიდა. ჯარი საომარ გუნებაზეა.

შეტევისთვის.

მოსკოვი. თიბათვის 27. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატის გაერთიანებულ სხდომამ დაადგინა, რომ დროებით მთავრობას შეტევის საქმეში დახმარება აღმოუჩინოს.

პეტროგრადი. თიბათვის 28. დროებით მთავრობის უკანასკნელ სხდომაზე (თიბათვის 28) სამხედრო მინისტრის თანაშემწე პოლკოვნიკ იაკუბოვიჩმა აცნობა უკანასკნელი ცნობანი. აღებულია ქალაქი პალუში (?), სადაც წინედ მტრის შტაბი იმყოფებოდა. ქალაქის აღებისას ტყვეებიც წამოვიყვანეთო.

ქალთა ბატალიონები.

მოქმედი ლაშქარი. თიბათვის 28. ბოჩკარევის ქალთა ბათალიონი დასავლეთის ასპარეზის ერთ საველე შტატში მოვიდა და მებრძოლ ნაწილში ჩაეწერა.

თხოვნა ხრუსტალევ-ნოსარის განთავისუფლების შესახებ.

პოლტავა. თიბათვის 27. პერეიასლაველის საგანგებო საერობო ყრილობამ დაადგინა—სასწრაფოდ ეთხოვოს მთავრობას ხრუსტალევ-ნოსარის განთავისუფლება. გაგზავნილი არიან პოლტავაში, ხარკოვში და პეტროგრადში.

სტამბოლზე თავდასხმა

ლონდონი. თიბათვის 28. **საამირბარო იტყობინება.** ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს სტამბოლის რეიდზე მდგომ ოსმალეთის ფლოტს. მათ რიცხვში „გებენსაც". საფრენებთან ერთად წყალქვეშებმაც მიიტანეს ოსმალეთის გემებზე იერიში. მრავალმა ყუმბარამ დანიშნულებას მიაღწია. მოხდა რამდენიმე აფეთქება და რამდენიმე ალაგას ცეცხლი გაჩნდა. გემების გარდა იერიში მიიტანეს საფრენებმა სამხედრო სამინისტროზე და როგორც სჩანს უკანასკნელი ძლიერ დააზარალეს. თავდასხმა მტერისთვის მოულოდნელი იყო, რომ მტერმა პასუხის გაცემა ვერ შესძლო. ჩვენი საფრენები უვნებლად დაბრუნდნენ.

რევოლუცია

დეპეშები

სახალხო განათლების კომიტეტის და მინისტრის კონფლიქტი.

პეტროგრადი თიბათვის 29. სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის სხდომაზე წამოყენებული იყო სახალხო განათლების მინისტრისა და არსებულ კომიტეტის შორის უკვე მომწიფებული კონფლიქტი. კომიტეტმა ერთხმად მიღებულ რეზოლუციით დაადგინა, რომ შემდეგში კომიტეტისა და მინისტრის ერთად მუშაობა შეუძლებელია და არც სახალხო განათლების რეფორმების მსვლელობაში იქნება იგი პასუხისმგებელი.

პურის შეტანა ფინეთში

პეტროგრადი. თიბათვის 28. ფინანსთა მინისტრი და ფინეთის სენატის წარმომადგენელი ფინეთში პურის შეზიდვის საქმეში შეთანხმდნენ.

ვექილები და კომისარიატი

მოსკოვი. თიბათვის 28. გლეხთა დეპუტატების საბჭომ შეუძლებლად სცნო, რომ ვექილებმა კომისარიატებში იმუშაონ.

საქალაქო არჩევნები

მოსკოვი. თიბათვის 28. საარჩევნო კომისიამ ხმოსანთა არჩევნები დაამტკიცა.

შაქრის ქარხნებისთვის

პეტროგრადი. თიბათვის 29. სურსათ-სანოვაგის მინისტრი შაქრის მრეწველობის გასაუმჯობესებლად ქარხნის პატრონებისთვის სესხის მისაცემ მოწმობების დარიგებას მოითხოვს მთავრობისაგან.

დროებით მთავრობის დადგენილება მიწის შესახებ

პეტროგრადი. თიბათვის 29. მიწათმოქმედების მინისტრის ჩერნოვის წინადადებით, დროებით მთავრობამ დაადგინა: 1) დამფუძნებელ კრებამდის შეჩერებულ იქმნას მიწების შესახებ სასამართლოებში საქმეების წარმოება გარდა იმ საქმეებისა, რომელთა განხილვა ექვემდებარება სენატის მეორე დეპარტამენტს. 2) გაუქმდეს საგუბერნიო და სამაზრო მიწის მომწყობი კომისიები.

კონფლიქტი ჯარსა და მ. და ჯ.-კ. სადეპუტატოთა შორის

პენზა. თიბათვის 30. თიბათვის 30-ს ღამით, ჯ. დეპ. საბჭომ დააპატიმრა მე-99-ე პოლკის კომანდირი ქვოტოვსკი, რომელმაც ჯარისკაცებთან ერთად მოითხოვა წევრების ბრძოლის ველზედ გაგზავნა. თიბათვის 28-ს მე-99-ე პოლკის ჯარისკაცები იარაღით ხელში გამოჩნდნენ მოსეოვ-ყაზანის გზაზედ, გაემართნენ იმ ადგილისკენ, სადაც დაპატიმრებული იყო ქვოტოვსკი. გაანთავისუფლეს იგი და გაემართნენ საბჭოს 7 წევრის დასაპატიმრებლად. შემდეგ ჯარისკაცებმა გამართეს მიტინგი, სადაც მოითხოვეს რწმუნებულობის დაყრა და მათი ბრძოლის ველზე გაგზავნა. საბჭო თავს იცავს.

ეროვნული საკითხი

რუსეთის სესხი ფინეთში.

ჰელსინგფორსი. თიბათვის 28. ადგილობრივი რევოლიუციონური ორგანიზაციების პრეზიდიუმში დღეს ირჩეოდა სესხის საკითხი. პრეზიდიუმში მონაწილეობას ღებულობდა პეტროგრადის დელეგაცია. კამათი მეტის მეტად საგულისხმო იყო. ფინებმა ახალი წინადადება წამოაყენეს:—ფინეთი მზად არის ასესხოს ფული რუსეთს იმ შემთხვევაში, თუ ეს ფული ფინეთის დემოკრატიულ ორგანიზაციების ზედამხედველობით იქნება დახარჯული დროებით მთავრობის მიერო. კრებამ ეს წინადადება უარყო: სამი საათის მსჯელობის შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: ფინეთმა სესხი უნდა მისცეს რუსეთის საერთო სახელმწიფო ინტერესებისთვის. ამას გარდა შესდგა კომისია, რომელიც სესხის რაოდენობას შეამცირებს.

ცენტრალ „რადას" აღიარება.

ბორზნა. თიბათვის 27. იშვიათმა საერობო ყრილობამ დაადგინა: უმაღლეს მართველობით დაწესებულებათ იქმნეს აღიარებული ცენტრალი რადა და მას საჭიროებისათვის გადიდოს 3 000 მანეთი.

მოლდავანელთა საშუალო სასწავლებლები.

ოდესა. თიბათვის 29. მოლდავანელთა მ. და ჯ. კ. დეპუტატების საბჭოს საერთო ყრილობამ განაცხადა, რომ მოლდავნელები დაჟინებით მოითხოვენ საშუალო სასწავლებლების გახსნას მოლდავნურ ენაზედ სწავლებით.

მდგომარეობა ფინეთში.

პეტროგრადი. თიბათვის 27. დღეს მინისტრ-თავმჯდომარეს წარუდგა ფინეთის გენერალ-გუბერნატორი და განუცხადა, რომ ამ ჟამად ფინეთში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არისო.

ფინეთის დამოუკიდებლობა

სამეურნეო დეპარტამენტის ვიცე-თავმჯდომარის ნათქვამი.

ჰელსინგფორსი. თიბათვის 29. ფინეთის სენატის სამეურნეო დეპარტამენტის ვიცე-თავმჯდომარეს ჟურნალისტებთან უთქვამს: „დროებით მთავრობამ ფინეთის შინაგან საქმეებში დამოუკიდებლობის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ჩვენ დაუყოვნებლივ ავტონომია უნდა მივიღოთ, ომის შემდეგ კი საერთაშორისო გარანტიები უნდა მოვიპოვოთ. ჩვენ გვეშინიან, რომ ჩვენგან მიცემული ფული ომის საჭიროებაზე არ მოიხმარონ. მოკავშირე სახელმწიფოების დემოკრატია, განსაკუთრებით ინგლისის, ძლიერი არ არის. ინგლისის უფლება მქონე კლასებს რუსეთის დემოკრატიის პოლიტიკაზე გავლენა აქვთ. ომის გამო ფინეთმა იზარალა მანეთის კურსზე. 1,000.000 მარკაა დაკარგული; 600 მილიონი მანეთი ფინლიანდიის (ბანკშია ?) უმოძრაოდაა. რკინის გზებმა დაჰკარგეს კურსზე 20 მილიონი, ფოსტამ—2 მილიონი. ფინეთს თვითონ 200 მილიონის სესხი სჭირდება. ჩვენ თავისუფლების სესხს ხელს ვერ ვაწერთ, მოწერას კი მოითხოვენ. ჩვენგან რუსეთის სესხად 350 მილიონ მარკას მოითხოვენ; მაგრამ ჩვენ შეგვიძლია 100—200 მილიონის მიცემა, თუ რუსეთის მთავრობა ოფიციალ დეკლარაციით ფინეთს შინაგან საქმეებში დამოუკიდებლად გამოაცხადებს და მომავალს საერთაშორისო კონგრესს დაუთმობსო.

პოლიტიკური მომენტი*)

დღევანდელი პოლიტიკური მომენტის დახასიათება ადვილი საქმე არ არის. რუსეთის სახელმწიფო და მასთან ერთად ჩვენი ქვეყანა გარდამავალს ხანაშია: ძველი წეს-წყობილება ინგრევა, მაგრამ მის ადგილას ახალი ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა. საზოგადოებრივი ცხოვრება გადასცდა ჩვეულებრივს კალაპოტს და თითქმის ყველაფერი ცვალებადობისა და გარდაქმნის პროცესში იმყოფება. თითქო არაფერი დარჩა მტკიცე და შეურყეველი: არც ეკონომიურს ურთიერთობასა, არც პოლიტიკასა და არც აზროვნებაში.

ასეთ მდგომარეობაში ფხიზელ პოლიტიკოსს ორი აუცილებელი თვისება უნდა ახასიათებდეს: მას უნდა ჰქონდეს რეალისტური ალღო და მას უნდა ჰქონდეს ფართო ისტორიული შემეცნება. უწინარეს ყოვლისა ის რეალურ ძალთა ურთიერთობას უნდა უწევდეს ანგარიშს. შემდეგ ისტორიული გაკვეთილებით უნდა ხელმძღვანელობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში უგზო-უკვლოდ დაიხნევა რევოლიუციის ლაბირინტში.

ჩვენი პარტია ახალგაზრდა საქართველოს პარტიაა და სწორედ გვაქვს ყველა ის შეუდარებელი უპირატესობანი, რომელთაც იძლევა მუდმივი ახალგაზრდობა. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია სამართლიანად ვიამაყოთ იმ გარემოებით, რომ დღევანდელ საპასუხისმგებლო მომენტში მწიფე ჰასაკის წინდახედულობაც გამოვიჩინეთ და თუ ჩვენი გული ხშირად დამთვრალა ან აღფრთოვანებულა, ჩვენი გონება არასოდეს არ დაუბნელებია ვნებათა ღელვას.

თქვენ მოგეხსენებათ რომ უკანასკნელი თვეების ამბებმა დიდი არევდარევა გამოიწვია პოლიტიკურს აზროვნებაში. აღმოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც რუსეთის რევოლუცია სოციალისტური რევოლუციად დასახეს. სხვებმა განაცხადეს რომ რუსეთის რევოლუცია ორმაგია: სოციალიზმს დაამყარებს სოფლად, ხოლო ქალაქში კაპიტალისტურ წეს წყობილებას განავითარებს. ბოლოს ზოგიერთებმა რუსეთის რევოლიუციას რაღაც მისტიური, მთელი მსოფლიოს განმაახლებელი დანიშნულება მიაკუთვნეს.

ამ რუსული „ბუნტარული" და სლოვენოფილური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ, რომელმაც სამწუხაროდ ჩვენს სამშობლოშიც კი იპოვა ნიადაგი, ჩვენ იმთავითვე ისტორიული და რეალისტური თვალთ საზრისით შევხედეთ რუსეთის რევოლუციას. ჩვენ დავინახეთ რომ ეს არის ჩვეულებრივი ბურჟუაზიული რევოლუცია, რომლის მსგავსი ჯერ ინგლისში მოხდა ორი საუკუნის წინათ, შემდეგ საფრანგეთში, ხოლო ბოლოს თითქმის ყველგან ევროპის კონტინენტზე. რუსეთის რევოლუცია ამ ჯაჭვის უკანასკნელი რგოლია და არა ახალი განვითარების დასაწყისი.

ჩვენ ოდნავაც არ შევუფიქრიანებივართ იმ გარემოებას, რომ რუსეთის რევოლუციაში ერთს უდიდეს როლს ქალაქის პროლეტარიატი და სოციალისტური ინტელიგენცია თამაშობს, ხოლო მეორეს ჯარი და სოფლის გლეხობა. ეს ყოველს ბურჟუაზიულ რევოლუციაში ასე ყოფილა, ამაში არაფერია მოულოდნელი. ბურჟუაზია იშვიათად გამოსულა ქუჩებში და ბარიკადებზე საბრძოლველად: აქ მისი საქმე თითქმის ყოველთვის ჯარსა და ქალაქის დემოკრატიას გაუკეთებია.

რევოლუციის დახასიათებაში უწინარეს ყოვლისა მიზნებსა და შინაარსს აქვს მნიშვნელობა და არა მამოძრავებელ ძალთა შემადგენლობას. რა მიზნები აქვს განსახორციელებელი რუსეთის რევოლუციას? თვითმპყრობელობის მაგივრად ხალხის მპყრობელობა უნდა დაწესდეს, მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს და კერძო საკუთრება საბოლოოდ უნდა განთავისუფლდეს ბატონყმური ნაშთებისაგან, რომელნიც მის განვითარებას აფერხებენ. უნდა დამყარდეს მოქალაქობრივი თავისუფლება. ესაა ზოგადი შინაარსი. ეს ზოგადი შინაარსი ყველას თავისებურად ესმის. ჩვენი პარტია ეროვნულ ხალხოსნური პარტიაა და და ჩვენი შეხედულებით ნამდვილი მოქალაქობრივი თავისუფლება აუცილებლივ ეროვნულ თავისუფლებასაც ჰგულისხმობს. ჩვენ გვწამს რომ ჩაგრულ ერთა აღდგენა თვით თანამედროვე საზოგადოების ფარგლებში უნდა მოხდეს, რომ შეუძლებელია მისი სამერმისოთ გადადება. ბურჟუაზიულმა ომებმა და ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა დასავლეთ ევროპაში თითქმის ყველგან დალეწეს ეროვნული ბორკილები და უფლება აყრილი ერები გაერთიანეს და გაანთავისუფლეს. ეს საქმე რუსეთში უკანასკნელმა დიდმა ომმა და დიდმა რევოლუციამ უნდა დაამთავროს.

ზოგიერთ ჩვენ თანამემამულეს ცოტა არ იყოს სხვანაირად ესმის თანამედროვე რევოლუციის შინაარსი. საქართველოში მოიპოვებიან პოლიტიკური მოღვაწეები, რომელთაც ჰგონიათ რომ ჩაგრულ ერების სრული განთავისუფლება მხოლოდ მომავალს, სოციალისტურს საზოგადოებაშია შესაძლებელი. ეს მოღვაწეები მარქსისტული აზროვნების ნიადაგზე სდგანან. კარლ მარქსმა კი 1878 წელს განაცხადა, რომ ეროვნული რევოლუციების ბედი დიდ სოციალურ რევოლუციის ბედთან არის გადაჭდობილი და „ვერც ჰუნგრელი, ვერც პოლონელი, ვერც იტალიელი ვერ განთავისუფლდება, სანამ მუშა მონათ დარჩება". ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ჰუნგრეთიც განთავისუფლდა და იტალიაც: დღეს ჩვენ თვალწინ პოლონეთიც თავისუფლდება. ჩვენ გვგონია, რომ ამის შემდეგ არც საქართველოს ან სხვა ჩაგრული ქვეყნების საკითხი უნდა გადაიდოს შორეული სოციალური რევოლუციისთვის.

მაგრამ რა საშუალებით შეიძლება დღეს ჩვენი ეროვნული განთავისუფლება მოხდეს? ჩვენის რწმენით უფლების მოსაპოვებლად მხოლოდ ერთად ერთი სწორი გზა არსებობს, ეს არის გზა რეალურ ძალთა თავმოყრისა და დაგროვებისა. დღეს უფლება იმას აქვს, ვისაც ხელში ძალა უპყრია. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ რეალურ ძალთა განწყობილება ჯერ-ჯერობით უფრო ჩვენ წინააღმდეგ აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენდა სასარგებლოდ.

რუსეთის რევოლუციის ცენტრალური ძალა დროებითი მთავრობაა. როგორც მოგეხსენებათ დროებითი მთავრობა პირველად ლიბერალურ-დემოკრატიული იყო, შემდეგ ლიბერალურ-სოციალური გახდა. ორივე შემადგენლობის მთავრობამ უარჰყო ფართო შემოქმედება და დამფუძნებელ კრებისთვის გადასდო ყველა დიდი სახელმწიფოებრივი და სოციალური საკითხის გადაწყვეტა. მომავალმა დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს ეროვნული საკითხიც. ახალი მთავრობის სიფრთხილე და თავდაჭერილობა ადვილი ასახსნელია რასაკვირველია: ეს მთავრობა დროებითია, ის წარმოშვა სატახტო ქალაქის რევოლუციურმა ტალღამ, მას მთელი ქვეყნის აშკარად გამოთქმული დასტური აკლია. მას არ შეუძლია უფლებების დარიგება, ვისაც ძალა აქვს თვითონ უნდა განახორციელოს თავისი უფლება. ეს კარგად შეიგნო მუშათა კლასმა და საკუთარი რევოლუციური გზით რვა საათის სამუშაო დღე განახორციელა. ეს შეიგნეს უკრაინელებმა და ეროვნული ჯარის საშუალებით ეროვნული თვითმართველობის განხორციელებას შეუდგნენ. ეს შეიგნეთ ჩვენც რასაკვირველია. მაგრამ ჩვენ ბევრად უფრო სუსტნი ვართ ვიდრე გაერთიანებული მუშათა კლასი ან მრავალ მილიონიანი უკრაინა.

გერონტი ქიქოძე.

(დასასრული იქნება)

---

*) მოხსენება წაკითხული საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინა

უკრაინის დამფუძნებელი კრება.

კიევი. თიბათვის 29. უკრაინის ცენტრალმა რადამ საჭიროდ სცნო უკრაინის დამფუძნებელ კრების მოწვევა. ამის შესახებ გენერალურ მდივანს მიენდო მოხსენების შედგენა.

ცენტრალი რადის მართ. მთავრობის ორგანოდ აღიარება.

კრემენჩუგი. თიბათვის 29. საგანგებო სესიაზე ყრილობამ—ცენტრალი რადა მმართველ მთავრობის ორგანოდ აღიარა და მის განკარგულებაში გადასდო 15.000 მანეთი.

პირველი უკრაინული გიმნაზია.

კრემენჩუგი. თიბათვის 29. სოფ. ნიროგში გადაწყვეტილია პირველ უკრაინულ გიმნაზიის გახსნა.

მინისტრები უკრაინაში.

კიევი. თიბათვის 29. წერეთელი და ნეკრასოვი ბრძოლის ველისკენ გაემგზავრნენ. დღეს კერენსკის ელიან საღამოთი. მინისტრების თანდასწრებით მოხდება შეერთებული სხდომა უკრაინის ცენტრალ რადის ყველა აღმასრულებელ კომიტეტებისა—უკრაინის საკითხის განსახილველად.

რუსეთი და უცხოეთი

ჩინეთი.

პეკინი. თიბათვის 26. (დაგვიანებულია). იმპერატორის ბრძანებით თანამდებობიდან გადაყენებულ იქმნა ჩილის გუბერნატორი და სატახტო საბჭოს უხუცესი წევრი ჩჟან-სიუნი. პეკინი გარშემორტყმულია რესპუბლიკანურ ჯარებით.

სათადარიგო პოლკის აჯანყება.

ვიაზმა. თიბათვის 27. სათადარიგო პოლკმა გაიტაცა იარაღის საწყობი და მთელი ქალაქი გაჩხრიკა. მან გაილაშქრა დეზერტირების წინაღმდეგ. გადააყენა მუშაობიდან 2000 კაცი (ფოსტა-ტელეგრაფის მსახურნი, რკინის გზის, ქარხნების, ფურნეების—მოსამსახურენი, მოსამართლე, სადგურის უფროსი და მრ. სხ.) პოლკმა ისინი საღამომდე მწკრივები დასტოვა და შემდეგ ზოგ-ზოგ დაინტერესებულ პირთა თხოვნით და ხმის მიცემით გაანთავისუფლა.

ქალაქის ჩხრეკა.

დორპატი. თიბათვის 28. ბრბოს დაჟინებულის თხოვნით—ადგილობრივ მუშ. და ჯარის-კაცთა დეპუტატების საბჭომ გაჩხრიკა ქალაქის დუქნები—საწყობები და დიდ-ძალი სურსათი აღმოაჩინა.

ბოროტ-მოქმედება

სუმა. თიბათვის 27. ღამით 5 ბოროტ-გამზრახველი შეცვივდა ადგილობრივ ქველმოქმედ ქალის ჰინსბურგის სახლში, დაახრჩო იგი, მისი ქალიშვილი შეჰბოჭა, 50.000 მ.ნ. გაიტაცა და მიიმალნენ.

ჩითეულობის დამზადება.

პეტროგრადი. თიბათვის 27. სასურსათო სამინისტრომ მილიონი ჩითეულობა დაამზადა (?) მკათათვის განმავლობაში სამინისტრო აპირებს 30 მილიონ არშინ ფართლეულობის დარიგებას.

ქალების მიღება ნაფიც მსაჯულებად.

ციურიხი. თიბათვის 26. ვენიდან იტყობინებიან: რეიხსტაგის იურიდიულმა კომისიამ ქალებს ნაფიც მსაჯულების უფლება მისცა.

კომლობრივი აღწერა.

პეტროგრადი. თიბათვის 27. სურსათის მინისტრის პეშეხონოვის თავმჯდომარეობით მოხდა მეჯლისი მომავალ მოსავლის განაწილების შესახებ. დადგენილ იქმნა რომ მოხდეს ენკენისთვის 15 კომლობრივი აღწერა პურის რაოდენობის გამოსაკვლევად.

გაფიცვის შეწყვეტა.

ჰელსინგფორსი. თიბათვის 28. მილიციონერების გაფიცვა შესწყდა. თავიანთი მოთხოვნილებანი მათ განსახილველად სეიმს გადასცეს.

არქიეპისკოპოზის გადადგომა.

ოდესა. თიბათვის 23. (მიღებულია ფოსტით). ოდესის და ხერსონის არქიეპისკოპოზმა ნაზარიმ ობერ პროკურორს სამსახურიდან დათხოვნა სთხოვა.

ტაძრის გაძარცვა.

მოსკოვი. თიბათვის 28. ნიკოლოზის სახელის ტაძარი გაძარცვეს. კედლებიდან 15 ძვირფასი ხატი ჩამოხსნეს. საკურთხევლიდან წაღებულია ხელსაწყო. მრავალ ხატების სამოსელი არის მოგლეჯილი. მაგრამ როგორც სჩანს რაღაც მიზეზების გამო ბოროტ-განზრახველებმა ვერ მოახერხეს ნაძარცვის წაღება. წაიღეს მხოლოდ ერთი მეტის-მეტად ძვირფასი სამოსელი.

მახალის მოლოდინი ამერიკაში.

ნიუ-იორკი. თიბათვის 28. მიწადმოქმედების სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ წელს მარცვლეულობას და საქონლის საკვების მოსავალი ერთ მილ. ბუშელით მეტი იქნება, ვიდრე 1916 წელს იყო. ფერმერთა შრომისა ესეთ შედეგების მიზეზია აპრილის ცნობილი მოწოდება ვილსონის მთავრობისა, სურსათის შესახებ. ამ მოწოდების გავლენით ფერმერებმა დათესილი მინდვრები ერთი მილიონი არკით გაადიდეს. პურის საერთო მოსავალი, რომელიც სამი მილიარდი ბუშელი უნდა იყოს, უეჭველია წარსულ მოსავლებს გადააჭარბებს. ქერის მოსავალი მილიარდ ნახევარი იქნება, კარტოფილისა—450 მილიონი, 167 მილიონ ბუშით მეტი ვიდრე შარშან იყო.

სტოკჰოლმის კონფერენციაში.

სტოკჰოლმი. თიბათვის 29. ბერლინიდან იუწყებიან, რომ ოთხშაბათს კონფერენციის მონაწილეებით ძირითად საბჭოს მეორე სხდომა მოხდა.

საქართველოში

ორი სონეტი საქართველოს.

I

ერთხელ გამკობდა მეუფე და ბედის მჭედელი,
რაინდ-მებრძოლეს გამშვენებდა ოქრო რჩეული
სისხლით შეჰღებე შენი სტავრა და ფარჩეული
ცრემლი გდენია სევდის ჯამში დაუწყვედელი..

მზესთან აჰზიდე მარმარილოს ტაძრის კედელი.
მარტო დასდექი სილამაზის წმინდა მკობელი;
წარსთქვი ლოცვები სხვებისათვის მიუხვრომელი
და შემოივლე ცეცხლის ალი დაუშრეტელი...

ჩაჩქან მუზარადს დასჩნევია ჟანგი ჟამისა,
თეთრი გვირგვინი უცხოელმა შეგიღამისა—
საკურთხეველსაც შემოსძარცვა მან მეწამული...

ზღვად ობოლს ხმალდასავ მივამსგავსე ჩემი მამული;
როგორ მეცდურებს საქართველოს ნაზი ნაღველი:
ო, ჩვენგის ნაცვლად მეპყრას შუბი პირ-გამახველი!..

გ. ლეონიძე.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **საქალაქო არჩევნებისათვის.** თბილისის საარჩევნო კომიტეტი აცხადებს, რომ ის განცხადებები, რომლებიც შეტანილი იყო თიბათვის 24-დან 28-დის საარჩევნო სიებში შესასწორებლად, განხილულ იქნება ქალაქის საარჩევნო კომიტეტში თიბათვის 29 და 30 და მკათათვის 1, 2 და 3-ს. ვისაც განცხადებანი შეუტანიათ, კეთილ ინებონ და საქმის გასაგებად მივიდნენ ქალაქის საარჩევნო კომიტეტში, სარტიტო საზოგადოების სახამთრო შენობაში, მკათათვის 4-ს, დილის 10 საათიდან 3 საათამდის და საღამოს 7 საათიდან 10 საათამდის.

◆ **ახალი კომისარი.** ნოე ჟორდანიას ადგილას, რომელიც ქალაქისა და საგუბერნიო კომისარის თანამდებობიდან გადადგა, კომისრად მიწვეულ იქმნა აღმასრულებელ კომიტეტის მიერ ნოე რამიშვილი.

◆ **მოხსენება სასურსათო საქმის შესახებ.** დღეს, მკათათვის 2-ს, საღამოს 8 საათზე, თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის სხდომაა დანიშნული, რომელზედაც აგრონომმა დალაქიშვილმა მოხსენება უნდა წაიკითხოს კომიტეტის მიერ ხორბლეულობის შესყიდვის შესახებ თბილისის გუბერნიაში.

◆ **ქალაქის ხარჯები.** ქალაქის საბჭოს უმახლოეს სხდომას გამგეობა წარუდგენს დამატებითი ხარჯების შესახებ მოხსენებას. უკვე დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე ქალაქისათვის კიდევ მილიონ მანეთზე მეტი ფული ყოფილა საჭირო მიმდინარე ხარჯების დასაფარავად.

◆ **მუშათა დეპუტატების საბჭოს** დადგენილებით უნდა გაუქმდეს საბჭოსთან არსებული მუშათა კომისია და ამ უკანასკნელის ვალდებულება უნდა გადაეცეს მუშათა საბჭოს.

◆ **გაზეთი „რესპუბლიკა“.** თბილისში გამოვიდა ახალი რუსული გაზეთი „რესპუბლიკა“ ნ. ა. დუბროვსკის რედაქტორობით. პირველ ნომერში დაბეჭდილია წერილები ნიკ. დუბროვსკისა, „თვალთაზრისი“ კ. ბალმონტისა, ჯეი დაგესტანისა, გრიგოლ ვეშაპელისა („საქართველოს საკითხი“), გიორგი თუმანოვისა, უსეინ მინასაზოვისა, ლ. პეკარსკისა და სხვ. გაზეთის მიზანია დემოკრატიულ იდეალის და კავკასიელ ეროვნებათა თავისუფლებისა და თანხმობისა ქადაგი.

◆ **ნიხრი.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, ქალაქის სასურსათო კომიტეტი ამ დღეებში ნიხრს დააწესებს მწვანილზე, ხილზე და ხელოვნურ წყლებზე.

◆ **მოსამსახურეთა გაფიცვის გამო.** კლუბებისა და რესტორან-სასტუმროების ლოტოში და ხილზე მოსამსახურეთა ზოგიერთ მეკარეთა და ბუფეტში მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება. კლუბებში წევრები (ქალი და კაცი) მუშაობენ და საქმე არ შეჩერებულა. ზოგიერთ კლუბებში, როგორც ირწმუნებიან, სხვა და სხვა დარგის შემოსავალს უმატნია. კლუბების კავშირის კომიტეტმა დაადგინა, რომ მოსამსახურეებს თვიურ ჯამაგირად დაუნიშნონ თითოს 100—150 მან. და საჩუქრები და პროცენტები გააუქმონ. რესტორან-სასტუმროების პატრონებმა შეატყობინეს მსახურთა პროფესიონალ კავშირს, რომ თუ მოსამსახურენი თიბათვის 30-ს არ გამოცხადდებიან თავთავიანთ ადგილზე, მათ სასყიდლის შესახებ ახალ პირობებს შეიმუშავებთო. ვინაიდან აღნიშნულ დროს მოსამსახურენი არ გამოცხადდნენ, რესტორან-სასტუმროების საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა ჯამაგირები დაუნიშნონ მათ თვიურად თითოს 100—200 მან. და ყოველგვარი საჩუქრები და პროცენტები მოსპონ. როგორც კლუბებისა აგრეთვე რესტორან-სასტუმროების პატრონთა დადგენილება ეცნობება მსახურთა კავშირს და მუშათა საბჭოს.

◆ **მოხეტიალე მუსიკოსმა ილიკო ქურხულმა** შემოიარა ველოსიპედით გორის მაზრის დაბა-სოფლები მეჯვრისხევი და ცხინვალი. საზოგადოება ბლომად ესწრებოდა. საუბედუროდ გზები ისე ცუდი და წამხდარი არი, რომ დანარჩენ სოფლებს ვერას გზით ვერ მიუდგა. ამ მოკლე ხანში ილიკო ქურხული გაემგზავრება სამეგრელოში ახალსენაკიდან სოხუმამდე. ამ მოგზაურობას შეასრულებს ველოსიპედითვე, აქ ცოტად თუ ბევრად გზები უკეთესი არის.

◆ **პეტრე-პავლობა.** თიბათვის 29-ს პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში, ავლაბარში, მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე ლეონიდე. ეკლესია და გალავანი მლოცველებით აივსო, ბევრნი იყვნენ რუსებიც. წირვის შემდეგ ყოვლად უსამღვდელოესმა ლეონიდემ ქართულად იქადაგა და ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე, ხოლო ეკლესიის წინამძღვარმა მამა ი. შუბლაძემ რუსულად წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა. შემდეგ ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, სამღვდელოება და დღესასწაულზე დაპატიჟებული სტუმრები სამრევლო სკოლის შენობაში ჩაიზე და ხილზე იქმნენ მიწვეული. საუზმის შემდეგ ყოვლად სამღვდელოს ავლაბრის ქართველთა ერთი ჯგუფის მინდობილობით თ. ნასიძემ მოკლე სიტყვით მიმართა და მოახსენა, რომ ეროვნულ ეკლესიის უფლებათა აღდგენაში მთელი ქართველი საზოგადოება თქვენთან არის და ნურავითარი დაბრკოლება ნუ შეგაფერხებთო.

◆ **საქველმოქმედო და საკოოპერაციო საჩაიეებს** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა დროებით მოუსპო შაქრის მიცემა, რადგან კომიტეტს ამ ჟამად ერთობ ცოტა შაქარი აქვს და ბარათებით დასარიგებლადაც არ ჰყოფნის. როცა კომიტეტს შაქარი მოუვა, საჩაიეები ისევ ძველებურად მიიღებენ თავიანთ წილს.

◆ **კლუბის დაჯარიმება.** ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა მილიციის უფროსის დადგენილება, რომ 3000 მანეთით დაჯარიმებულ იქმნან „კრუჟოკის“ მამასახლისები და 1000 მანეთით ბუფეტის პატრონი მაგარი სასმელების გასყიდვისათვის.

◆ **თბილისის საჩაიებს,** როგორც მაგალითად, ძმური ნუგეშია და ფინ, ჯანი ჩაი, ქალაქის სასურსათო კომიტეტი შაქარს აღარ აძლევს.

კავკასია

◆ **სააგენტოს დეპეშების გაძვირება.** პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ ხარჯების მომატების გამო სააგენტო იძულებულია დეპეშებზე ხელის მოწერის ფასს მოუმატოს. თავის დროზე თვითეული ხელის მომწერი წინდაწინვე გაფრთხილებულ იქნება ამის შესახებ.

◆ **აღწერილობის შეჩერება.** შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, მთელს რუსეთში სამეურნეო და სასურსათო აღწერილობის დაწყება რამდენიმე დღით გადაიდვა.

◆ **სამხედრო ბეგარა.** სამხედრო და შინაგან საქმეთა სამინისტროების შეთანხმებით სამხედრო ბეგარის მოსახდელად გამოცხადების ვადა გაგრძელდათ 1917 წლის 2 ოქტომბრამდე 1919 წელს გადაწევეს იმ ახალგაზრდებს, რომელთაც სასულიერო უწყების ორკლასიანი სასწავლებლები დაასრულეს ამ წლის გაზაფხულზე და ახლა საეკლესიო სამასწავლებლო სკოლებში აპირობენ შესვლას სწავლის გასაგრძელებლად.

◆ **ფული გადმოხვეწილთათვის.** გადმოხვეწილთა დამხმარე საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მისცა სომეხთა ცენტრალ კომიტეტს 50.085 მან. გადმოხვეწილ ბავშვთა სკოლების შესანახად შუა მაისიდან თიბათვის ბოლომდე. აგრეთვე მისცა იმავე კომიტეტს 93 315 მან. 4 414 ობოლ ბავშვების შესანახად.

საქართველო

ხახულის ღვთისმშობლის ტაძარი. წელიწადზე მეტია, რაც ტრაპიზონის რაიონში მოსამსახურე ოფიცერს შუგუროვს მიწერ-მოწერა აქვს სხვა და სხვა ქართულ დაწესებულებასთან და კერძო პირებთან შესახებ იმისა, რომ ლაზისტანში არსებულ ქართულ ძველთა ძველ ეკლესიას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, გარდა ეროვნულისა და სარწმუნოებრივისა. ისტორია-არქეოლოგიისათვისაც, პატრონობას თხოულობს ქართველების მხრივო. პასუხად სამადლობელი წერილები კი მისვლია ბ-ნ შუგუროვს, მაგრამ ეკლესიის შესახებ მზრუნველობა ჯერ არავის გამოუჩენია. ბ-ნი შუგუროვი ამ ჟამად თბილისში იმყოფება და დიდათ გაკვირვებულია ქართველთა გულგრილობით. იმას აზრად აქვს შეჰკრიბოს ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და უკანასკნელად შეეკითხოს მათ: სურთ თუ არა უპატრონონ თავიანთ ისტორიულ საკუთრებას, თუ უნდათ რომ სხვებს ჩაუგდონ ხელში. ეხლაც თუ გადაჭრილი პასუხი ვერ მიიღო, იმ შემთხვევაში შუგუროვი მიმართავს გრაფინია უვაროვისას და სინოდს.

◆ **ბუნდოვანი სურათები სოფლად.** სცენის მოყვარე გიორგი ჯაბაურს აზრათა აქვს რომ სოფლად მოაწყოს სახალხო კითხვები ბუნდოვანი სურათებით. თანამედროვე მომენტის სურათები უკვე გაუკეთებია თავისი ხარჯით.

ქუთაისი

◆ **პარკის ფასი.** 23 და 24 ივნისს ქუთაისში 80 მანეთამდე იყო.

◆ **საქონლის ჭირი.** როგორც სოფლიდან ჩამოსულები ამბობენ, საქონლის ჭირი მთელ ქუთაისის გუბერნიას მოსდებია.

◆ **ექიმ ტერტეროვის გადაყენება.** ქუთ. საგუბერნიო ექიმი ტერტეროვი გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდან. მას პასუხს გებაში აძლევენ.

ფოთი.

◆ **შავი ქვის მოთხოვნა..** ჩრდილო სამეტალურგიო ქარხნები ამ უკანასკნელ დროს დიდძალ შავ ქვას თხოულობენ. ამ დღეებში გაზიდეს 400 ათასი პირველ ხარისხის ქვა. შავი ქვის გაყიდვის საქმეს დიდათ უშლის ხელს მუშა ხელის ნაკლებობა. ამ ჟამად ფოთში მოზიდულია ხუთ მილიონამდე ფუთი შავი ქვა.

პროვინცია.

◆ **ღვინის აკრძალვის გამო.** სოფ. ველისციხის რაიონის სოფლელებს კრება ჰქონიათ ველისციხეში. კრებას 2000 კაცზე მეტი დასწრებია. კრებას ამიერ კავკასიის კომისარიატისათვის გამოუგზავნია თავისი დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ღვინის ვაჭრობის აკრძალვა თუ არ გაუქმდა, დიდი უბედურება დატრიალდებაო.

◆ **უკვალოდ დაკარგულნი.** ნესტორ ბესოს ძე ჩხარტიშვილი, მსახურებდა 114-ტე სათადარიგო პოლკში, მეხუთე როტაში. თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ აცნობონ ამ მისამართით: 14 рабочій баталіонъ 8 рота, 4 взводъ. სოფელ ჯუმათში კლემენტი ჩხარტიშვილს.

◆ **წარმოდგენები სოფლად.** ს. ვაქირში 17 ივნისს ბ. იველიძის თაოსნობით გაიმართა წარმოდგენა ადგილობრივ ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქმნა „ბატონი და ყმა“ და კომ „დიდის ერთა“.

— ს. კოლაგში 24 ივნისს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა „ხანუმა“ და „დედა და შვილი“.

◆ **ამინდი ბაკურციხეში.** აქეთ ძლიერი სიცხეებია. გვალვამ ბოსტნეული მთლად მოსპო; წისქვილები ვეღარ მუშაობენ უწყლობისა გამო; სასმელმა წყალმაც იკლო. ქერი ჩიტებმა მოჰმუსრეს და ამის გამო ვერ მომკეს,—გათიბეს... პური მოიმკო და ილეწება კიდეც, მაგრამ კოდი პური (3 ფ.) მაინც 30 მანეთად ფასობს ჯერ-ჯერობით... აქეთ, საზოგადოდ, ძლიერ ხილიანობაა, ავადმყოფობამაც იჩინა თავი ნელ-ნელა.

◆ **თელავის საარჩევნო კომისიის ბიურომ** თიბათვის 24-ს დაბეჭდილი ფურცლები გამოაკრა ქუჩებში, ქალაქის თვითმართველობის ხმოსნების არჩევნების შესახებ. არჩევნები მოხდება არა უგვიანეს მკათათვის 15-ისა.

სიები გამოქვეყნდება თიბათვის 27-ში და ამ დღიდანვე შეიძლება მათი შესწორება, მხოლოდ ხუთი დღის განმავლობაში ე. ი. პირველ მკათათვემდის.

— **თელავის შემ.-გამ. ამხანაგობის** წლიური კრება მოხდება მკათათვის 2-ს.

◆ **უნავთობა.** თელავში თავი იჩინა ნავთის კრიზისმა, რის გამოც ისარგებლეს ზოგიერთებმა, ვისაც კი ჰქონდა შენახული ნავთი გირვანქა 12 კაპეიკი გახადეს.

◆ **უწვიმობა კახეთში.** აქეთ კაი ხანია წვიმები აღარ მოსულა, და თუ კიდევ დიდხანს გასტანა უწვიმობამ, დიდი ზარალი მოელის ვენახებს.

◆ **თელავი.** 9 მკათათვეს თელავის ვაჟთა გიმნაზიის სასარგებლოთ გაიმართება დიდი სახალხო „სეირნობა“.

◆ **საპრაპორჩიკო სკოლის მოწაფეთა მიტინგი თელავში.** თიბათვის 21, იდღესასწაულეს საპრაპორჩიკო სკოლის მოწაფეებმა რუსის ჯარების მიერ ავსტრო გერმანელების წინააღმდეგ შეტევის დაწყება და გამარჯვება. გამოვიდნენ ყაზარმიდან სამოქალაქო ბაღში, წითელი დროშებით, მუსიკით და სარევოლუციო სიმღერებით. სადაც გამართეს მიტინგი, ილაპარაკეს: 10-დე რუს-ოფიცერ. ორატორმა და ა. ყაზახაშვილმა ქართულად. მიტინგი დამთავრდა ნაშუადღევის 2 საათზე.

◆ **შეცდომის გასწორება.** გუშინდელ №-141 № ში 1 პირველ სვეტზე ქვემოდან 32 და 33 სტრიქონში დაბეჭდილია: **რჩებიან ძალაში მიწის საკითხის გადაწყვეტის დროსაც.** უნდა იყოს: **ვერ დარჩებიან ძალაში მიწის საკითხის გადაწყვეტის დროს.**

გუშინდელ №-ს შინაარსში შეცდომით იყო **ლვოვის აღება.** უნდა იყოს **გალიჩსა.**

პატარა ფელეტონი

აკაკის ჰანგზე

თავისუფლებას ვეძებდი,
ვერ ვპოვე,—დაკარგულიყო!
გულამოსკვნილი ვჩიოდი:
სადა ხარ, ჩემო სულიკო?

—

რედაქციებში შეველი,—
ყველა იქ დაღვრემილიყო:
მათ შევეკითხე შეფრქვევით:
აქ ხომ არ არი სულიკო?

—

ჩაიკვნეს-ჩაიქვითქვითეს,
თავი ჩაქინდრეს მწარეთა
და შემომძახეს: „დაგვცინი,
ეხლავე გადი გარეთა!“

—

გზაში შემომხვდა, „კადეტი“,
სად არის ჩვენი სულიკო?
მან განრისხებით მომძახა:
„ნეტა სუსტ ჰკუის არ იყო!“

—

მივმართე მოქალაქესა:
თავისუფლება სად არის?
—სხვაგან მოძებნე, ძმობილო,
არ ვიცნობ, ჩვენკენ არ დადის!

—

სულიკოს საძებნელათა
ახლა სოფელში წაველი...
პირი გაალეს, გაოცდნენ:
—საჭმელი არი, სასმელი?

—

ფიცხლავ დეპეშა დავკარი
დროებით მთავრობასთანა,
(ვიფიქრე: ტურფა ასული
ალბათ ბინადრობს მათთანა!)

—

გეთაყვა, ჩქარა მაცნობეთ,
სად არის ჩვენი სულიკო?
და მო [illegible]
„ნეტა მოკლული არ იყო!“

—

ქუჩა და ქუჩა დავეძებ
ლამაზ, უმანკო ასულსა,
მაგრამ ვის ვხედავ მაგიერ?—
როსკიპ, დაკარგულ ნამუსსა!

—

ბოლოს ჩურჩულით მაცნობეს:
მზე-ქალა თავისუფლება
ისევ ციხეში ჩაუსვამთ,
ისევ ცრემლებით იღვრება!

ნ. აზიანი.

ქართველ მუსულმანების შესახებ*)

დღესაც გვხიბლავს დიადი სახე ღრმად ჩაფიქრებულ და ბრძნულად შორს მჭვრეტ ქართველ მუსულმანის შერიფ ბეგი ხიმშიაშვილისა, რომლის გულში გურჯის წმინდა სისხლი სჩქეფდა... მისი 38 წლის წინედ—1879 წელს,—გაზეთ „დროება“-ში დასტამბული წერილი ქართველთა მუსულმანთა ცხოვრების საუკეთესო საბუთად ითვლება. ეს ის დრო იყო, როდესაც უკვე ერთი წელიწადი გავიდა ოსმალეთის მიერ წართმეულ საქართველოს შემოერთების მერე. შერიფ-ბეგი აღწერს წერილში თავის სიმდიდრეს და სიდიდკაცეს ოსმალთა ბატონობის ჟამს და ამბობს: „ყოველივე ეს თვალში სრულიად არაფრად მიმდიოდა. შინაგანი სული, გული მუდამ ჟამს რაღაც გამოურკვეველ ბნელი ღრუბლით მოცული მქონდა. მუდამ ვცდილობდი ჩემი თავის და ჩემთა მოძმეთა გამოხსნას ჩემი ქვეყნითურთ ოსმალთა ხელიდამ... როდესაც ჩვენს ძმებს ქართველებთან შევუერთდით ღამის ღრუბლი ბნელი, ბრწყინვალე დღედ გადამექცა, სიმწუხარე სიხარულად და პირი ლხინად შემეცვალა. ვერასოდეს ვერ დავივიწყებ მე ჩემს დღეში ქართველთა მოკეთეობას, კაცთ-მოყვარეობას და მიღებულებას. ღმერთმა ქნას, რომ მეც და ჩემთა თანამოძმეთაც საჭიროდ დაგვემტკიცებინოს ჩვენგან მოსალოდნელი კეთილშობილური მოქმედება, შევუერთებულიყოთ მტკიცედ, ძლიერად დაშორებულ ძმებთან, სულითა და გულით და ყოველივე კეთილ განწყობილებითა“...

დღეს, საკმაოა აღვნიშნოთ, რომ შერიფ ბეგის სიტყვებში ნაჩვენებია ის გარემოება, რომ შეგნებული ქართველი მუსულმანები თავის თავს ობლებად ჰგრძნობდნენ ოსმალეთში და იმის ნატვრაში იყვნენ, რომ ქრისტიან მოძმეებს შეერთებოდნენ. პირველ ხანად შემოერთების შემდეგ ქართველი მოწინავე საზოგადოება დაფაცურდა შემოერთებულ ძმების გასანათლებლად... მაგრამ მალე შეაჩერა ძველმა მთავრობამ, რომელსაც არაფრად ეპიტნავებოდა ერთი მხრით ქართველ მუსულმანების გამოღვიძება, მათი მიერ თავის ვინაობის შეგნება და ქართველ ქრისტიანებთან შეერთება კულტურულ კავშირით და, მეორე მხრით, ამიერკავკასიაში მრავალ რიცხოვან ქართველ მუსულმანების შემოერთების მიზეზებით თვით ქართველ ერის გაძლიერება. რუსის მთავრობა ეჭვის თვალით უყურებდა ყოველ ქართველს, რომელიც კი სამუსულმანო საქართველოში ქართულ ეროვნულ შეგნების შეტანას მოინდომებდა. ქართველ ინტელიგენტ წარმომადგენლებს იქ შესასვლელი კარი დახშული ჰქონდათ..

ქართულ სკოლებს მთავრობა არ უხსნიდა ქართველ მუსულმანებს, იგი მუდამ ჩასჩიჩინებდა, თურქები ხართო და თქვენი დედა ენა თურქული არისო. არ უმართავდა არც რუსულ სკოლებს, მთავრობა სცდილობდა გაეღრმავებინა უფსკრული დაშორებისა ქართველ ქრისტიანთა და ქართველ მუსულმანთა შორის... იგი ქართველ ქრისტიანთაგან ჰგზავნიდა სამუსულმანო საქართველოში მხოლოდ პოლიციის მოხელეებს, რომელთა უმრავლესობა ვერ დაიკვეხებს თავის ზნეობას. ქართველი მუსულმანები უნდობლად უცქეროდნენ ქართველ პოლიციელებს და ეს უნდობლობა მთელ ერზე გადაჰქონდათ. ამის სანაცვლოდ, იგივე მთავრობა ქართველ ქრისტიანთა სოფლებში მამასახლისებად და დარაჯებად ქართველ მუსულმანებს ნიშნავდა.

განსაკუთრებით 1915—1916 წლებში ისარგებლა მთავრობამ ქართველ მუსულმანების შეუგნებლობით.

ბათომის პოლიცეიმეისტერმა ნაყოფმა პანინმა ჩამოიყვანა ბათომში რამდენიმე აჭარელი, მისცა ხელში თოფები და დანიშნა ქუჩების და ხა-

---

*) წაკითხულ იქმნა 7 ივნისს 1917 წ. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა კონფერენციაზე. ვბეჭდავთ მოკლედ.

ჯებად.. დარაჯები მცირე ჯამაგირს იღებდნენ, იმის ერთს წილს პოლიციას ქრთამად აძლევდნენ... და რაღაც 20—25 მანეთისათვის თვეში ქართველი მუსულმანი ქუჩებს ჰყარაულობდა...

ქართველი მუსულმანები სამასი წლის წინ ჩამოშორდნენ საქართველოს, დაივიწყეს ქართული სწავლა-განათლება და ვერც თათრულად შეითვისეს ცოდნა. ისინი მოკლებულნი იყვნენ რიგიანს სკოლებს და მეჩეთებთან არსებულ სკოლებში კი დედა-ენას არ სწავლობდნენ. მხოლოდ სოჯახო საუბარი დედა-ენაზე არა კმარა ხალხის გასანათლებლად. სამუსულმანო საქართველოში ხალხი დაჩიავდა, და მის ძეთა შორის არავინ იყო გამოჩენილი, შესანიშნავი თვისი ცოდნით, თვისი კულტურით. მშობლიური ქართული ენა ვეღარ ასაზრდოებდა სკოლის და წიგნის საშუალებით ქართველ მუსულმანებს. სალოცავებში მათ ესმოდათ თათრული და არაბული ენები...

გონების განუვითარებლობის გამო სჯულის და ხალხის ცნებები ერთმანეთში აურიეს და თავის თავს თათრებათ სთვლიდნენ. თათარი და მუსულმანი მათი აზრით ერთი და იგივე იყო; ხოლო ქართველი და ქრისტიანიც ერთი და იგივე იყო. ამის გამო ქართველი მუსულმანი თავის თავს თათარს უწოდებდა და მეტად სწყინდა, როცა მას „ქართველს“ ეტყოდნენ.

ქრისტიანმა ქართველებმა წინაუწრეს მოძმე მუსულმანებს სწავლა განათლებაში და ცხოვრების შენებაში: გააძლიერეს თავისი კულტურა..· და ბათომის საშუალებით შეეცადნენ მოეხდინათ კულტურული გავლენა ქართველ მუსულმანებზე. ბათომში დაარსდა ქართული თეატრი, ბოლო დროს გამოდიოდა ქართული გაზეთი, სადაც იბეჭდებოდა წერილები ქართველ მუსულმანების შესახებაც. თანდათან გამოიქედა გუნდი ქართველ მუსულმანების ინტელიგენტებისა... მათ საუცხოვოდ გაარჩიეს ერთმანეთში სჯული და ეროვნება. ერთი მათგანი სწერს: „ქართველ მაჰმადიანთა ენა ქართულია და ეროვნება ქართულია; მაგრამ ისინი ჭეშმარიტი ისლამის ძენი არიან. ვერავითარი ძალა ვერ წარმოიდგენია, რომ მათი სარწმუნოებრივი სიმტკიცე შეარყიოს. და აგრეთვე ვერც იმისთანა ძლიერი გავლენა მოიაზრება, რომ მათი ეროვნული გონება ჩააქროს... და არც რაიმე ძალის დატანებით აიღებენ ხელს იმ მშობლიურ ქართულ ენაზე, რომელზედაც ისტორიის უხსოვარ დროიდან დღემდე ლაპარაკობენ და შეუნახავთ„ (მემედ-ბეგ აბაშიძე). რასაკვირველია, მომავალში, როდესაც ქართველ მუსულმანთა ხოჯები და მოლები სამღვთო სჯულის მოთხრობებს და სხვა და სხვა ამბებს ქართულ ენაზედაც გადმოსთარგმნიან, თვითონაც ქართულ ენაზე მისცემენ მრევლს დარიგებას, იტყვიან ქადაგებას და საამისოდ წინდაწინ შესაფერ განათლებას მიიღებენ ქართველ ხოჯათა და მოლათა ასაზრდელად დარსებულ ქართულ-მუსულმანურ მედრესეში (სემინარიაში), თურქულ ენას ქართველ მუსულმანთა შორის თვისი მნიშვნელობა დაეკარგა, რადგანაც ეს ენა არაა მიჩნეული მთელი ქვეყნის მუსულმანთათვის საერთო ენად... მხოლოდ ბაქოელი თურქები სცდილობენ თურქულ ენის გადაქცევას ყოველ მუსულმანებისათვის საერთო ენად. (მაგალითად დაღესტნელებისთვის).

ერთი ქართველი მუსულმანი სწერდა ამასწინად „სახალხო ფურცელ“-ში: „ყოველი ძალა და ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ გამოვზარდოთ ისეთი შვილები, რომლებიც შესძლებენ სარწმუნოებრივ საკითხების მაჰმადიანის მოძღვრებიდამ ქართულ ენაზე გადმოთარგმნას, თორემ ეს კარგათ უნდა ვიცოდეთ, რომ სხვა რომელიმე მოდგმის ხალხი არც ჩინელი მუსულმანი და არც სტამბოლელი თურქი არ გადმოგვითარგმნის ქართველ მაჰმადიანებს“.

ქართულ ენის სამუსულმანო საქართველოში შესანახად ზოგიერთი თურქები კეთილ რჩევას იძლევიან, რომ ქართველმა მუსულმანებმა მიიღონ წიგნები, რომელშიაც ქართული სიტყვები იქნება დაბეჭდილი თურქული ასოებით... ამ წინადადების მთავარი აზრი ცხადზე უცხადესია: მასში ჩაქსოვილია ხრიკები...

ი. ფერაძე.

(გაგრძელება იქნება).

მონარქიის აღდგენა ჩინეთში

როგორც ვიცით 1912 წლის იანვრის 30-ს ჩინეთის იმპერატორი სუან-ტუნი ტახტიდან ჩამოვიდა. სუან-ტუნი მაშინ მხოლოდ რვა ნახევარი წლისა იყო, ამიტომ ტახტიდან გადადგომის მანიფესტს მისმა მამამ მოაწერა ხელი, რომელიც მაშინ სამეფო საქმეებს განაგებდა. ამის შემდეგ რესპუბლიკანური წესის შემუშავება იუანშიკას მიენდო. ეს რესპუბლიკა მოკლე დღისა გამოდგა,—მან მხოლოდ 5 წელი იარსება და 1917 წლის თიბათვის 18-ს ეს რესპუბლიკა ისტორიის ფურცლებს ჩაჰბარდა. თუმც ისიც ითქმის წესწყობილება ჩინეთის რესპუბლიკისა ხალხოსნური არასდროს არ ყოფილა. პირველი რესპუბლიკანური პარლამენტი შეიკრიბა 1912 წლის აპრილში. პარლამენტს მაშინვე კონფლიქტი მოუხდა თვით იუანშიკაისთან. ამასთანავე ისიც გამოირკვა რომ ჩინეთის სხვა და სხვა კუთხეში ერთაზროვნობა არ არსებობს. მაგალითად პოლიტიკურ საკითხებს ჩრდილო ჩინეთის ნაწილი სხვანაირად სწყვეტდა და სამხრეთ ჩინეთის ნაწილში კი სხვა ნაირად. სამხრეთი მომხრე ბუდე იყო რესპუბლიკანელებისა და იდეა მაშინდელი მოძრაობისა პირველად იქ დაიბადა. კონსერვატიული ჩრდილოეთი კი მომხრე იყო დამხობილ დინასტიის და უბრალო რეფორმებითაც კი დაკმაყოფილდებოდა. ჩრდილო მხარეს დასტური მისცა მწყობრმა ჯარმა, რომელიც შემდეგ იუანშიკაის ხელში რეაქციის აღსადგენ მანქანად იქცა. გამარჯვების შემდეგ იუანშიკაი დიქტატორობას ლამობდა და ამ მოსაზრებას 1914 წ. დასაწყისში პარლამენტი თავისი ნებით დაითხოვა და თავის თავი მუდმივ პრეზიდენტად აღიარა. ამის შემდეგ სცდილობდა იმპერიის აღდგენას და მისი შთაგონებით მრავალმა პროვინციებმა იმპერიის აღდგენა მოითხოვა. მხოლოდ იუანშიკაის მოულოდნელმა სიკვდილმა იხსნა ჩინეთი მის იმპერატორობისაგან. იუანშიკაის სიკვდილის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ რესპუბლიკა ჩინეთში განმტკიცდებოდა. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ საერთაშორისო ომის გამო დიდი სახელმწიფოების ყურადღება სხვა საგანზე იყო მიპყრობილი და მათ აღარ სცალოდათ ჩინეთის რესპუბლიკის ლიკვიდაციისათვის ხელი შეეწყოთ. მაგრამ სამხრეთ და ჩრდილოეთ მხარეს შუა ანტაგონიზმი თან და თან ძლიერდებოდა. როგორც იუანშიკაის დროს მოხდა კონფლიქტი, მხოლოდ არ სჩანდა მეორე იუანშიკაი, რომელიც შესძლებდა გართულებულ მდგომარეობით სარგებლობას და დიქტატურობის ხელში ჩაგდებას.

თავდაპირველად სახელმწიფო მოძრაობა ჩრდილო პროვინციებში დაიწყო, რომელთაც მონარქიის აღდგენა მოითხოვეს. ამის საპასუხოდ სამხრეთ პროვინციებმა თავიანთი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ჩინეთის ტახტზე კი ხელახლავ სიუნ-ტუნი არის აყვანილი, რომელსაც მცირე წლოვანობის გამო არც ახლა შეუძლიან სახელმწიფო საქმეების მართვა.

იმპერიის აღდგენის მანიფესტში გამოცხადებული იყო, რომ 1909 წლის სახელმწიფო დაწესებულებები აღდგენილ იქნებიან. ამ დაწესებულებით მაშინ კონსტიტუციონური მონარქიის შექმნა ჰსურდათ. საინტერესო ის არის, რომ პირველი კონსტიტუციონური პარლამენტი 1917 წელში უნდა მოწვეულიყო.

ქართველი რესპუბლიკანელები

შეიძლება ეს ამბავი ბევრმა არც კი დაიჯეროს. ამის მაგალითები ქართველთ კოსმოპოლიტებში ერთობ ხშირია და უხვი. ამიტომ აქ ჩვენი ამბის აღწერას ცოტა შორიდან დავიწყებთ, რომ ეჭვი არავის ჰქონდეს.

საქართველო ძველად, ანუ ბიზანტიელთა დროს, მათ მფარველობის ქვეშ იყო, ბიზანტიის დაცემის შემდეგ, ხან სპარსთა გავლენის ქვეშ იყო, ხან ოსმალეთისა, ამიტომაც ქართველთ მეფენი იწოდებოდნენ, ანუ ვალი გურჯისტანი. ანუ ქართულათ გამგე მეფე საქართველოსი.

მეფე ერეკლემ ეს არ ინდომა, ოსმალ სპარსეთთან მოსპო კავშირი და 1782 წ. რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა მეორის მფარველობას შეეკედლა. ამისთვის დაწერილ იქმნა ტრაქტატი.

ამ ტრაქტატის პირობით საქართველოს სამეფო რუსეთის მფარველობის ქვეშ იყო. რუსეთის იმპერიას საქართველოც უნდა დაეცვა.

საქართველოს სამეფო ამ სახით დაშთება საყოველთაოდ და რუსეთის მფარველობის ქვეშ საქართველოს სამეფო არ მოისპობა, არამედ დაცული იქნება იგი ყოველთვის უვნებლათ.

რუსეთის მთავრობამ საქართველოში შემოიყვანა 4000 ჯარისკაცი და ამით უნდა დაეცვა საქართველო· ეს ჯარი აქ უნდა დარჩენილიყო იმ დრომდე, ვიდრე ქართველთა სამეფოც მოაგვარებდა და თავის საკუთარ ჯარს დაიწესებდა.

თბილისში დაარსდა ახალი ზარაფხანა სადაც სჭრიდნენ ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ფულს. ფულს ერთ მხარეს ქართული წარწერა ჰქონდა და მეორე მხარეს რუსული.

დაარსდა სამხედრო სკოლების გაფართოვება, თოფხანა და დაუწყეს ქართველთაგან საყოველთაო ჯარს მოკრება. ასეთი ჯარის მოკრეფა 1770 წ. იქმნა შემოღებული ლევან ერეკლეს ძე ბატონიშვილისაგან.

1778 წ. როცა მეფე ერეკლე გარდაიცვალა, მის მაგიერ ქართლ-კახეთის მეფეთ ტახტზედ, გიორგი მეფე ავიდა.

გიორგი მეფე უძლური მეფე იყო, ამას მეფობა და გამგეობა ძლიერ უძნელდებოდა. ამიტომ მან განიძრახა თავის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირება. ამ საქმეში მას დიდათ აქეზებდა გარსევან ჭავჭავაძე და ზოგნიც სხვანი.

უმეტესათ კი გიორგი მეფე რუსეთს უერთდებოდა უფრო მიტომ რომ გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ სამეფო ტახტი უნდა მიეღო იულონ ბატონიშვილს, გიორგის ძმას და არა გიორგის შვილს, დავითს, რომელიც რუსეთში იყო გაზრდილი და რუსეთის გენერალ ლეიტენანტი გახლდათ.

ეს გარემოება დავითმაც იცოდა რადგანაც ამის ანდერძის წერილი მეფე ერეკლესაგან იყო დატოვებული; ამ წერილზე გიორგი მეფესაც ეწერა ხელი, რაც გიორგი მეფეს დიდათ აბრაზებდა და სძულდა თავის მამის ასეთი ანდერძის დატოვება.

ამიტომ ქართველებში, გიორგი მეფეს საქართველოს გამსყიდავათ სახვენ, ეს არ არის მართალი. ამაში გიორგი არ არის დამნაშავე, არამედ გარსევან ჭავჭავაძე და ამის ამხანაგები. ამ ამბავს ჩვენ შემდეგ დავასაბუთებთ.

საქართველოს დაღუპვა და გაყიდვა მოხდა გარსევან ჭავჭავაძის მოხერხებით, თვით ამ პირმა აღიარა თავის პირით, სიკვდილის დროს, გიორგი მეფის შვილები და შვილის შვილები დაიბარა თვისთან და ბოდიში მოიხადა ასე:

მე გღალატეთ თქვენა, მე გავყიდე საქართველო და ამიტომ ვითხოვ მოტევებასა. ეს ბოდიში ნამდვილად შემოწმებულია ადრინდელი პროფესორის დავით ჩუბინაშვილის · ბიძისაგან, რომელიც იმ დროს იქ ყოფილა და გარს. ჭავჭავაძის სიტყვები თავის ყურით გაუგონია. გარსევანის საქციელს „კალმასობაც“ ასაბუთებს.

საქართველოს გაყიდვა აი როგორ მოხდა რუსეთის სახელმწიფო პირთაგან და ნამეტურ ქართველ ელჩებისა და რუსის გენერალ ლაზარევისაგან.

გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ ქართლ-კახეთის ტახტზედ უნდა ასულიყო გიორგის უფროსი შვილი დავითი. ვიდრე ეს მოხდებოდა, მინამ გენერალ ლაზარევის რჩევით საქართველოს ადგილები რუსეთის გუბერნიებად იქმნა გამოცხადებული და მით საქართველო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა. ამით დარღვეულ იქმნა 1782 წ. ტრაქტატი.

ვიდრე საქართველოში რუსის მთავრობის ძალა დამყარდებოდა, საქართველოში, ზოგი ქართველი ფხიზლათ იქცეოდა და რუსის მთავრობისაგან დაუყოვნებლივ ითხოვდენ 1782 წლ. ტრაქტატის შესრულებას, საქართველოს მეფობის არ მოსპობას და დავითის, ანუ იულონის გამეფებას.

ამისთვის მთელმა ქართლის ერმა მიმართა ალექსანდრე იმპერატორს და სთხოვა მეფე ერეკლეს ანდერძით კვალათ საქართველოს მეფობის არ მოსპობა და დავითის ან იულონის გამეფება, ასეთისავე დავალებით მიმართა სოლომონ იმერთა მეფემ იმ დროს, როცა პავლე იმპერატორის შემდეგ, ალექსანდრე იმპერატორი გამეფდა, ყოველივე ასეთი მიმართვანი ალექსანდრე იმპერატორის წინაშე უმნიშვნელოთ რჩებოდა ვინაიდგან გარსევან ჭავჭავაძისაგან საქმე ქვეყნის გასყიდვით იყო შესახლებული. ამ დროს თბილისში გაჩნდა ქართველთა სხვა და სხვა პარტიები. აქ იყო დავით ბატონიშვილის პარტია, იულონ ბატონიშვილის, სოლომონ ლეონიძის, ბოლოს ს. ლეონიძის პარტიას სხვებიც შეუერთდნენ, იყო კიდევ დარეჯან დედოფლის პარტია და ასევე კიდევ სხვების.

ყველა ამ პარტიების მიზანი იყო რუსეთის წინაშე მეცადინეობა და მით 1782 წ. ტრაქტატის პირობის დაცვა, საქართველოს მეფობის არ მოშლა, ტახტზედ დავითის, ან იულონის დამტკიცება. გიორგი მეფის სიკვდილის მესამე დღეს თბილისში მოხდა ქართველთ კრება, ამ კრებაზედ ზოგი დავითის გამეფებას ითხოვდა, როგორც გიორგის მემკვიდრის და ზოგი კი მეფე ერეკლეს ანდერძის არ მოშლას და იულონის გამეფებას მოითხოვდა. ამ პარტიების ბრძოლა დიდად განცხოველდა. მალე მოხდა მეორე კრებაც. ამ კრებას დაესწრო ფრანგის პატრი ნიკოლა. ამან მოახსენა კრებას შემდეგი სიტყვა რჩევით:

„ბატონებო, გონებას მოდით, შეიტყეთ ვითარება სამეფოსი, შფოთმა და განხეთქილებამ გაიდგა ფესვი. აქ მეფობა თითქოს აღარავის უნდა, ყველა ეჭვის თვალით უმზერს და ამბობს, რომ მეფე გიორგის დავალებით, რუსნი აღარავის გაამეფებენო. საქართველო რუსეთს დაუკავშირესო. ასე ლაპარაკობენ თვით ტახტის მემკვიდრენიც.

გიუწყებოდათ ბატონებო, რომ მემკვიდრეებმა დაანებონ ტახტს თავი, აიღონ ტახტისაგან ხელი. ჩვენ გამოვაჩინოთ მეფეს. ბატონებო, ფრანცუზნი თქვენზედ ძლიერნი არიან, ჰქვიანნი, ნასწავლნი და ყოვლითვე სრულნი, მაგრამ ხშირად მეფე არა ჰყავთ, უმეფოდ განაგებენ, რესპუბლიკით. ჰყავით თქვენც ასე, ჰქმენით რესპუბლიკა და ეგენი წავიდნენ იქით, საითაც სურთ“.

პატრის აზრი ბევრს მოეწონა და ეს ცნება განაბნიეს საქართველოში და მოითხოვდნენ, რომ რაკი საქმე ასე თავდება, ამიტომ ჩვენ მეფობა აღარ გვინდა, პატრის ნათქვამის თანახმად ჩვენ რესპუბლიკას დავაწესებთ და უმეფოდ განვაგებთ ქვეყნის საქმეებსო.

ამ აზრებმა გაიტაცა ს. ლეონიძე, დ. ბარათაშვილი, გ. მაყაშვილი. ჯ. ორბელიანი, ს. ბეგთაბეგისშვილი, იოვ. ორბელიანი და ბევრიც სხვანი. ამ დროს საქმე დიდად მწვავდებოდა, რუსნი ძლიერდებოდენ და საქართველოს საქმეც იშლებოდა, ამ დროს, დავით ბატონიშვილთან მოვიდა მისი ახლო ნათესავი გ. ბარათაშვილი და აუწყა დავით ბატონიშვილს შემდეგი:

ბატონიშვილო, მეფობას ნუ ჰკარგავ, დროით გამეფდით. თქვენ რუსებს ნუ უცდით, უბრძანეთ რომ აქედან რუსის გენერალი ლაზარევი თვის ჯარით უკან დაბრუნდნენ, თუ ამას არ იქმს იგი, მაშინ ჩვენ ვიცით საქმე და ძალით გავაძევებთ. დროით გამეფდით თორემ დაკარგავთ მეფობას.

დავითი ვერ ჰბედავდა გამეფებას და ალექსანდრე იმპერატორისაგან დამტკიცებას ელოდა. ესე დაყოვნება კი ქართველებს დიდათ აღარდებდა, ნამეტურ სოლომონ ლეონიძეს. დასახელებულ ქართველთ შორის გამოსჩნდნენ ცხარედ მსურველები რესპუბლიკანური წესის და ამისთვის მოლაპარაკენიც.

ამ კრებაზედ საუბარმან გაამხნევა იოანე სარდალი, გვარით ორბელიანი, ეს მოვიდა ბატონიშვილ დავითთან და მოახსენა შემდეგი: „ბატონიშვილო და ბიძავ! ნუ ჰკარგავთ მეფობასა, მიბძანდით და გამოაცხადებთ რუსის აქა ჯარსა წარვიდეს რუსეთად და თუ არა იქმს რუსის ღენერალი, ადვილია მისი აქედან განდევნა. დავიცვათ მეფობა და განვამტკიცოდ მეფობით სახლი ჩვენი, როგორც გვიმეფნია, ისე ვიმეფოდ.

ამ დროსაც მოხდა ქართველ რესპუბლიკანელთა კრება, ამათ გადასწყვიტეს მეფობის მოშლა, არც დავითის გამეფება, არც იულონის, არც რუსეთის მთავრობის ცნობის, არამედ რესპუბლიკის დამყარების. ამ ნატვრის ცნობები თურმე დავით ბატონიშვილმა შეიტყო. მერე დავით ბატონიშვილმა მთელს საქართველოს თავად-აზნაურობას ასეთი სიტყვით მიმართა რესპუბლიკური მართვა-გამგეობის დაარსების შესახებ:

„ბატონნო საქართველოს თავადნო და აზნაურნო! თქვენი მუჯადობა გვებოძა და მართებული ესე იყო, რადგან მეფე გიორგი მიიცვალა, აქ შემოყრილიყავით და გეტირნათ. წაგვხურად და მერე დიდი დიდათ შეყრილიყავით და მცირედნი მცირეთა და საზოგადო ქვეყნის კეთილ მდგომარეობა გამოგეჩხრიათ, ამ ჟამათ ზოგიერთნი სხვანი და როსტომ ბეგთაბეგისშვილი, ელიზბარ თუმანიშვილის და ლუკა ბესაშვილს შეგიერთად და რესპუბლიკის თავად გაგიკეთებიათ. „აბა სად მივდივართ, ეს თქვენის კეთილშობილებისათვის დიდათ აუგია და სათაკილო“, ასე მოწმობს ამას პ. იოსელიანი „მეფე გიორგის ცხოვრება“-ში“.

დავით ბატონიშვილი რესპუბლიკური წესების დაარსების განზრახ დიდათ დააფიქრა, ეს ამბავი იმან რუსის გენერალს და მინისტრს კოვალენსკის გააგებინა, ამათ ზომები მიიღეს და ყველა რესპუბლიკანელები დააპატიმრეს. დაპატიმრების დროს, ბედშავ დავით ბატონიშვილმა ქართველების და ნამეტურ რესპუბლიკანებს კიდევ მიმართა ასე:

„თუმცაღა ჩვენ ქართველი მეფე გვყოლია, მაგრამ ხან ბიზანტიელთ მფარველობის ქვეშ ვყოფილვართ, ხან სპარსეთის და ხან ოსმალეთის. ბოლოს მეფე ერეკლემ საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ მისცა, ამიტომ მოიცადეთ, ნუ აჩქარებულხართ, მე 1782 წ. ტრაქტატის ძალით მალე დამამტკიცებენ მეფეთ და მის შემდეგ მეც გავმეფდები და ძალაც მექნება, რუსეთის ნებადაურთავად ჩემი გაძევება არ შეიძლება, ჩვენი პირობა ასეთია, ანუ შეერთების ტრაქტატით“.

1801 წ. ბოლომდე ყველა რესპუბლიკანელები დაპატიმრებულნი იქმნენ, ამათი დაპატიმრებით დავითიც დამშვიდდა. ხოლო ლოდინით კი ვერას მოესწრა და ბოლოს ტახტიც დაკარგა და 1782 წ. ტრაქტატის მუხლებიც გაუქმებულ იქმნა და მის მეოხებით საქართველოს სამეფოც რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებულია უსამართლოდ. ასე უშვეოდ და შეუმჩნევლად გათავდა რესპუბლიკანელ ქართველთა [illegible] საქართველოში. [illegible] პირდაპირ დავით ბატონიშვილს ედება. სხვა არავის და რუსის მთავრობის ახალს ძალას.

ზ. ჭყონია.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 8,	11.08	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.48	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	8,20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	8.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.1[illegible]	საღ.

თბილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.88	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 5,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 8***,	8.10	დილ.

III წელ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წელს III წელ.

ხალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„თავისუფლება“-ზე

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ. რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი პირვ). წლიურათ ჟურნალი ღირება 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მ. თვიურად 80 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), ისიდორე კვიცარიძესთან. თბილისში, კავკასიის საფერშლო სკოლის მოწაფესთან, ტერენტი გ—ძე სვანიძესთან და შალვა იასონის ძე მეგრელიშვილთან. ჭიათურაში—პლატონ პ—ძე კილასონიასთან, სამტრედიაში მინა კოპალეიშვილთან, ფოთში—ნესტორ დოლიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, ბაქოში—სანდრო ქურიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში და მოსკოვში, სტ. შალვა დ. გომართელთან. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით:

Кутаисъ, Роману Спиридоновичу Панцхава.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვონ და ხმარონ ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლალიძის** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდნენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლალიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია საიმპერო **სამრეწველო მინისტრის** მიერ პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია

„ლალიძის წყალი“

ქუთაისში
თბილისში

მხოლოდ და მარტო ლალიძის წყალია მომზადებული ხრუსტალად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

საავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
ვერინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოსელიანი—ქალთა დ საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—28

თევზის მრეწველნი

ძმ. ძიზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მიიღება საკუთარი და საუკეთესო საწყ. „[illegible], სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „[illegible]“ ხიზილალა. მიიღებთ საუკეთესო [illegible] მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი შებოლილი ზუთხი, თართი, [illegible] და [illegible], გვაქვს აგრეთვე მიღებული [illegible] რუსეთის და საზღვარ-გარეთის [illegible] (წ.)

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი. სტამბა „ცხოვრება“ ასლან კალანდაძისა გაზეთის შესახვევი № 4 გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“